645
1977/4

ეროვნული ბიბლიოთეკა



# საქართველოს ქალი

თბილისი
№ 2 1977 წ.



ეროვნული ბიბლიოთეკა

# შთამბეჭდავი სიტყვის ძალა

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით ქ. ტულას „გმირი ქალაქის“ საპატიო წოდება მიენიჭა. ეს საპატიო წოდება მან ქალაქ მოსკოვთან გერმანელ ფაშისტთა ჯარების განადგურებაში გამოჩენილი გმირობისათვის დაიმსახურა. გმირ ქალაქს „ოქროს ვარსკვლავის“ მედალი გადასცა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა.

საზეიმო სხდომაზე, რომელიც ამ საპატიო ჯილდოს გადაცემას მიეძღვნა, შთამბეჭდავი, ღრმაშინაარსიანი სიტყვა წარმოთქვა ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა. მან თავის სიტყვაში მარქსისტულ-ლენინური თვალსაზრისით გააანალიზა პარტიის სოციალურ-ეკონომიური პოლიტიკა, მისი საგარეო-პოლიტიკური საქმიანობა.

ლ. ი. ბრეჟნევმა აღნიშნა, რომ პარტიის პოლიტიკის ცენტრშია ზრუნვა საბჭოთა ადამიანისათვის, მისი საჭიროებებისა და მოთხოვნილებებისათვის და მოგვცა საბჭოთა საზოგადოების განვითარების სოციალური პროგრამა, რომელიც მიზნად ისახავს სოციალისტური ცხოვრების წესის სრულყოფას. „ხალხის ცხოვრების დონის განუხრელი ამაღლება იყო და არის ყველა ჩვენი გეგმის — უახლოესი დროისა და ხანგრძლივი პერსპექტივის გეგმების უმთავრესი მიმართულება“ — ითქვა მაღალი ტრიბუნიდან.

ტულაში წარმოთქმულ სიტყვაში დაკონკრეტებულია პარტიის, საბჭოთა ხალხის წლევანდელი, საიუბილეო წლის ამოცანები, ნაჩვენებია მათი განხორციელების გზები.

ლ. ი. ბრეჟნევი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს სახელმწიფო გეგმის, მისი რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლის, სოციალისტურ ვალდებულებათა უთუო შესრულებას, რაც „თითოეული კომუნისტის, თითოეული მშრომელის ღირსების საქმეა“. მათი შესრულებისათვის კი აუცილებელია, რომ ყველა შრომითმა კოლექტივმა მთელი წლის განმავლობაში რიტმულად, ძალღონის დაუზოგავად იმუშაოს.

ჩვენი სახელმწიფოს მეთაურმა რწმენა გამოთქვა, რომ მეათე ხუთწლედი ახალი, დიდი, წინგადადგმული ნაბიჯი იქნება ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესების გზაზე. ეჭვი არ არის, რომ საბჭოთა მშრომელები წარმატებით შეასრულებენ წლევანდელ გეგმებსა და ვალდებულებებს, მთლიანად ხუთწლედს, იმიტომაც, რომ „ჩვენს ქვეყანაში ასეულ ათასობით არიან ადამიანები, რომლებიც თავიანთი მაგალითით გვინათებენ წინსვლის გზას: „ასეც უნდა იყოს, რაკი ცხოვრობს საბჭოთა ხალხი, რაკი ქვეყანას მიუძღვის კომუნისტური პარტია, მუდამ იქნებიან მხურვალე გულის, ჩვენი უკვდავი კომუნისტური საქმის უსაზღვროდ ერთგული ადამიანები. პატივი და დიდება მათ!“

ლ. ი. ბრეჟნევის ისტორიულ სიტყვაში მკაფიოდ და კონკრეტულად არის მოცემული საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მშვიდობისმოყვარული საგარეო პოლიტიკა. ეს პოლიტიკა იცავს ჩვენს სამშობლოს ომებისაგან, შეესაბამება ყველა ხალხის ინტერესებს, ხელს უწყობს მათს მეგობრობას და თანამშრომლობას.

ლ. ი. ბრეჟნევმა პარტიისა და ხალხის სახელით განაცხადა, რომ ჩვენი ქვეყანა არასოდეს არ დაადგება აგრესიის გზას, არასოდეს არ აღმართავს მახვილს სხვა ხალხების წინააღმდეგ. კაცობრიობის წინაშე არცერთ ქვეყანას არ დაუსახავს ისეთი ფართო, კონკრეტული და რეალისტური პროგრამა, როგორიც საბჭოთა კავშირმა დასახა, პროგრამა, რომლის მიზანია ახალი ომის საფრთხის შენელება და შემდეგ მთლიანად აღკვეთა.

— ჩვენ მტკიცედ ვართ დარწმუნებული, — განაცხადა ლ. ი. ბრეჟნევმა, — რომ საბოლოო ანგარიშით განხორციელდება მშვიდობის კეთილშობილური იდეები, რომლებსაც იცავენ ლენინური პარტია, საბჭოთა სახელმწიფო.

ტულაში ლ. ი. ბრეჟნევის მიერ წარმოთქმულმა სიტყვამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ჩვენი ქვეყნის მშრომელებზე. მან დარაზმა მშრომელთა კოლექტივების მთელი ძალები შრომითი და პოლიტიკური აქტივობის ასამაღლებლად, 1977 წლის გეგმებისა და სოციალისტური ვალდებულებების შესასრულებლად, მთლიანად ხუთწლედის, ხარისხისა და ეფექტიანობის ხუთწლედის ამოცანების გადასაჭრელად.

ყველგან — საწარმოებში, დაწესებულებებში, კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში, მშრომელთა კოლექტივებში რიტმულად და გეგმაზომიერად მუშაობენ შრომის ნაყოფიერების გადიდებისათვის, მაღალი ეფექტიანობისა და ხარისხისათვის, ჩვენი სამშობლოს ძალისა და ძლიერების განმტკიცებისათვის, მისი საერთაშორისო ავტორიტეტის ზრდისათვის.

„საქართველოს ქალი“
საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და მხატვრულ-ლიტერატურული ჟურნალი.

«САКАРТВЕЛОС КАЛИ»
Ежемесячный общественно-политический и художественно-литературный журнал ЦК КП Грузии.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# მეგობრულ ოჯახში

რამდენიმე თვე გვაშორებს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-60 წლისთავს. ამ დღეებში, ხალხთა მეგობრულ ოჯახში საბჭოთა საქართველო ორმოცდამეთექვსმეტედ აღნიშნავს თავისი დაბადების დღეს.

იმ დიდებულ მონაპოვართა შორის, რაც დიდმა ოქტომბერმა მოგვიტანა, ყველაზე ძვირფასი და სანუკვარი ხალხთა ლენინური მეგობრობაა.

ამ მეგობრობის ძალამ ჩვენი პლანეტის ერთ უდიდეს ნაწილზე ოდესღაც სამტროდ აშლილი ხალხებიც კი ძმობით, ერთობითა და სიყვარულით შეადუღაბა.

ამ ერთობის ძალა გვზრდის და გვაკაჟებს.

ამ ერთობით ვძლევთ XX საუკუნის ჟუსასტიკეს და უბოროტეს ურდოებს.

ამ ერთობის ძალით აღვადგინეთ ომის ხელით დანგრეული ქვეყანა.

ამ ერთობით ვუდგავართ მხარში ერთმანეთს ჭირსა თუ ლხინში, სახალხო დოვლათის შექმნაში თუ გიგანტურ მშენებლობებზე.

ამ ერთობით ვდგავართ საბჭოთა სამშობლოს მშვიდობისა და ძლიერების სადარაჯოზე.

დღეს, ჩვენი დიდი ოჯახის ძლევამოსილ ჰერქვეშ შემტკიცებულ ერთა შორის, არ არსებობს დიდი და მცირე, გაბატონებული და ჩაგრული. საბჭოთა კანონმდებლობით ყველა მათგანი სუვერენულია, ყველა მათგანის ყოველივე წმიდათაწმიდა ხელშეუხებია. და ეს ერები, აღჭურვილნი თავიანთი მატერიალური და სულიერი ცხოვრების ზრდისა და აყვავების ყველა უფლებითა და ყველა პირობით, თავ-თავიანთი იერსახით, ენით, წეს-ჩვეულებით, მეცნიერებით, ლიტერატურითა და ხელოვნებით, ქმნიან ერთ დიდ, მრავალეროვან, მრავალენოვან, მრავალფეროვან საბჭოთა კულტურას.

საერთო მტრები და მეგობრები, საერთო ინტერესები, ერთობლივი ბრძოლა და შრომა, ყრილობები, სიმპოზიუმები და კონფერენციები, ზეიმები და იუბილეები, ლიტერატურისა და ხელოვნების დეკადები, მეგობრობის საღამოები ჩვენი ყოველდღიური ცხოვრების ნორმად არის ქცეული.

ერთობის, ძმობისა და მეგობრობისაკენ სწრაფვა ოდითგანვე ჩვენი ხალხის ცხოვრების ნიშანდობლივ თვისებად არის მიჩნეული. ქართველ ხალხს ჯერ კიდევ რვა საუკუნის წინათ დაუდგენია და რუსთაველის გენიას ბრწყინვალე პოეტურ ყალიბში ჩამოუძერწავს დიდებული ზნეობრივი კოდექსი:

,,სჯობს სიცოცხლესა ნაზრახსა, სიკვდილი სახელოვანი".

,,სჯობს სახელისა მოხვეჭა, ყოველსა მოსახვეჭელსა".

,,ვინც მოყვარესა არ ეძებს, იგი თავისა მტერია".

,,ხამს მოყვარე მოყვრისათვის თავი ჭირსა არ დამრიდად. გული მისცეს — გულისათვის, სიყვარული გზად და ხიდად".

და ვერ ვიტყვით, რას უფრო უნდა უმადლოდეს ჩვენი ერი თავის მზეგრძელობას — ქართველ ვაჟკაცთა საბრძოლო გმირობას თუ ამ მაღალადამიანური კანონებით განმტკიცებულ რწმენას.

ამ რწმენით აგებდა და აგებს იგი სამოყვრო და სამეგობრო ხიდებს; ამ რწმენით უღებდა და უღებს თავისი ოჯახისა და გულის კარს ყველას, ვისაც ჩვენი მოკეთეობა და მეგობრობა მოსურვებია, ან დასჭირვებია, ვისაც ალალი გულით ჩვენი ოჯახის კარი შემოუღია.

ამ რწმენის სიმბოლოდ აუმაღლებია ხალხს თავისი დედაქალაქის გადასახედზე, მტერთან მებრძოლი და მოკეთის მოყვარე დედა ქართლისა.

ამ რწმენით ზრდიდა და ზრდის იგი შთამომავლობას, ასე რომ არ იყოს, მარტო თავისი ბუნების სილამაზით ან კეთილი ჰავით ვერ მოიზიდავდა საქართველო სხვადასხვა ეროვნების ამდენ წარმომადგენელს.

,,ყველაფერი, რაც კი საუკეთესო აქვს ქართველ ხალხს, მის ისტორიას და ხასიათს, მის ფსიქოლოგიასა და სულიერ სამყაროს, მის ენერგიას, აღმშენებლობითს სულს, მის ტალანტსა და გმირობას, მუდამ ემსახურებოდა დიად სოციალურ, ადამიანურ ღირებულებას — ხალხთა მეგობრობას, ინტერნაციონალიზმს.

ასე იყო და ასე იქნება ყოველთვის!

,,ქართველმა ხალხმა იცის მეგობრობის ყადრი, უფრთხილდება მას და მეგობრობას მეგობრობითვე უპასუხებს". (საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობაზე საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ამხ. ე. შევარდნაძის მოხსენებიდან).

ჩვენი ხალხის ამ მაღალადამიანურ თვისებებს თავის ლექსებსა, წერილებსა თუ მოგონებებში აღნიშნავდა და აღნიშნავს ყველა, ვისაც საქართველოს მიწა-წყალზე ფეხი დაუდგამს — უცხოელი მოგზაურები, სტუმრები, მეგობრები თუ მეზობლები, და განსაკუთრებით ისინი, ვინც სამუდამოდ დაგვძმობილებია და თავის მეორე სამშობლოდ საქართველო აურჩევია.

ტანჯვის საუკუნეებში ნაწრთობი ჩვენი ხალხების მეგობრობა დღეს, ჩვენს სოციალისტურ სინამდვილეში, ხალხთა ლენინური მეგობრობის სინამდვილეში, ახალ ხარისხშია აყვანილი და ახალი ნიშან-თვისებებითაა გამდიდრებული.

დღეს საბჭოთა საქართველო 56 წლისაა, საოცარი სახეცვლილება განიცადა ამ მანძილზე ჩვენმა რესპუბლიკამ. დიდად ამაღლდა მისი ხალხის მატერიალური და სულიერი ცხოვრების დონე, აშენდა და დამშვენდა სოფლები და ქალაქები. უფრო მეტ გარდაქმნებს გვპირდება სახალხო მეურნეობისა და კულტურის შემდგომი განვითარების მეათე ხუთწლედი. გრანდიოზული გეგმა დაგვისახა პარტიის XXV ყრილობამ. და ამ გეგმის შესრულებისათვის, ჩვენი რესპუბლიკის სახელისა და ღირსებისათვის, დღეს ჩვენს ჰერ-ქვეშ, ჩვენს გვერდით შრომობენ და იღვწიან ჩვენი მეგობრები, სხვადასხვა ეროვნების ადამიანები.

ყოველდღიურად იზრდება და ღრმავდება ჩვენი ურთიერთობა და განა მარტო მოძმე რესპუბლიკებთან? — ხალხთა მეგობრობის ფესვები კარგა ხანია საბჭოთა სამშობლოს საზღვრებსაც გასცდა და სამოყვრო გზებს მიიკვლევს მთელი უკიდეგანო სამყაროს ძმობის, მეგობრობისა და მშვიდობისმოსურნე ხალხებისაკენ.

განვამტკიცოთ მშვიდობა და ხალხთა მეგობრობა — აქეთ მოგვიწოდებს სკკპ XXV ყრილობა, ამ დიდებულ მიზანს ემსახურება მსოფლიოს მთელი პროგრესული კაცობრიობა, ამ დიადი მისიის შესრულებისათვის იღვწიან საბჭოთა სამშობლოს მესვეურნი და უპირველეს ყოვლისა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, მშვიდობის დიდი მედროშე ლ. ი. ბრეჟნევი.

ამ მიზანს უნდა ემსახურებოდეს ყველა ჩვენგანი, თავისი ოჯახისა და ქვეყნის ყველა კეთილისმოსურნე.

და ჩვენთვისაც, ყველა ჩვენგანისათვის უფრო წმინდა და მაღალი არა არის რა, ვიდრე ჩვენი ოჯახების, ჩვენი სამშობლოს, და, ერთობლივ, მსოფლიოს სიკეთისა და ბედნიერების მოსურნე ხალხთა შემტკიცება და მეგობრობა.

ამ საქმეში უდიდესი როლი ტრადიციულად, ჩვენ, ქალებს, დედებს, თაობათა აღმზრდელებს გვეკისრება.



15803
კ. მარქსის სახ. სა[...]
სახელმწიფო საჯარო
ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# თბილისი

ია მესხი



ქალაქი პიროვნებაა. როგორ გიამბოთ პიროვნებაზე? როგორ გიამბოთ ქალაქზე? ქალაქიც ხომ პირადად უნდა შეიცნო, შეიცნო ხუთივე გრძნობითა და, კიდევ ერთი — „მეექვსე გრძნობითაც“, რომლის იდუმალებაც საყოველთაოდ ცნობილია. თუმცა, ყოველივე ისე სუბიექტური რამაა...

როგორი ფერი აქვს თბილისს: მე ვიტყოდი, მუქი სურინჯისა. თბილისი ერთი მცირერიცხოვან ქალაქთაგანია, რომელთაც ზემოდან შეიძლება გადმოხედო, გადმოხედო და დაინახო მისი კრამიტები, შეღებილი რკინის სახურავები. როგორია თბილისი, თუ მას ხელს შევახებთ, ხელს გადავუსვამთ? ალბათ ძალიან ხორკლიანი, უსწორმასწორო, დანაოჭებული ხევებისა და ბორცვების გამო. ქალაქის დამაარსებელთ საცხოვრებლად პატარა ფართობი აურჩევიათ, აბა, რა იცოდნენ, მერე იგი 40 კილომეტრზე თუ გაიჭიმებოდა?

თბილისის ჟღერადობის სიმბოლო მისი მეტყველებაა. გაბმული, მღერადი ხმოვნები; თანხმოვნები ხან მკვეთრი, თითქოს ყელიდან ძალით ერეკებიანო, ხან ნაზი, ბაგისმიერი, დოლის რხევისმსგავსი. რისი სუნი აქვს თბილისს? — ვაი! — ნორჩ ფოთოლყლორტზე უფრო, უვარგისი ბენზინისა. გემო? — თბილი ლავაშისა, მომწკლარტო ღვინისა, ნივრისა, დანაყილი ნიგვზისა, ძმრისა, ქინძისა... ყოველივესი ერთად. თბილისს კიდევ შემწვარი კარტოფილის, ლულა-ქაბაბის, უკრაინული ცხელი ბორშის სუნი აქვს. თუმცა ყოველივე ეს ისე სუბიექტურია...

458 წლიდან თბილისი საქართველოს სატახტო ქალაქადაა წოდებული; ახლა ძნელია განსაზღვრო, რომელ ასაკში მიიღო მან ეს ტიტული, მაგრამ, ეტყობა, მაინც — საპატიო ასაკში. უკანასკნელი 15 საუკუნის მანძილზე ორმოცჯერ გაძარცვეს და დაარბიეს. ეცემოდა, სულს ღაფავდა, კვლავ აღსდგებოდა მკვდრეთით. ბოლო ნახევარ საუკუნეში თითქმის ოთხმაგად გაიზარდა; ქალაქში ახლა მილიონზე მეტი მცხოვრებია.

როგორ იღვწიან თბილისელები? ქმნიან ელმავლებს, დაზგებს, გამომთვლელ მანქანებს, თვითმფრინავებს, ყურძნის საწურავ, ჩაის საკრეფ მანქანებს, სხვადასხვა ხელსაწყოებსა და აპარატებს, უშვებენ ქსოვილებს, ფეხსაცმელს, კონსერვებს, აყენებენ ღვინოს, კონიაკს, იწევენ თამბაქოს, აშენებენ, ასწავლიან, სწავლობენ, მკურნალობენ, იკვლევენ, დგამენ სპექტაკლებს.

თბილისი ქალაქია, რომელსაც თავის ნაშრომებში იხსენიებენ მარქსი, ენგელსი, ლენინი. ქალაქია, სადაც ცხოვრობდნენ და შრომობდნენ, საბჭოთა ხელისუფლებისათვის იბრძოდნენ მიხეილ ივანეს ძე კალინინი, იოსებ ბესარიონის ძე სტალინი, სტეფანე შაუმიანი, მიხა ცხაკაია, ფილიპე მახარაძე, კამო, ნარიმან ნარიმანოვი, ივანე ფიოლეტოვი, ალიოშა ჯაფარიძე, ლადო კეცხოველი, ალექსანდრე წულუკიძე. ქალაქია, რომელიც ინახავს ი. ფ. ფაბრიციუსის, ა. ფ. მიასნიკოვის, გ. ა. ათარბეგოვის, ს. გ. მოგილევსკის ნეშთებს. ქალაქია, სადაც გიჩვენებენ ავლაბრის იატაკქვეშეთის სტამბას, რომელიც ამ საუკუნის დასაწყისში თითქმის სამი წელი ლენინური იდეების პროპაგანდის მსხვილ ცენტრს წარმოადგენდა კავკასიაში.

...თბილისი ქვაბსა ჰგავს, წარმოქმნილს მთებისაგან, ამ ქვაბს ზაფხულში ღრუბლების ხუფი რომ დაეხურება, სუნთქვა ჭირს. მაშინ ლაღიძისა და ბორჯომის წყლებთან გრძელი რიგები იჭიმება. ამ ხუფიდან ზოგჯერ ზამთარში ფიფქი წამოვა, ხოლმე, მაგრამ ვიდრე ასფალტს მიეკარებოდეს, წვიმის წვეთად იქცევა. თბილა ქვაბის ძირზე და იმიტომ.

თბილის-ქალაქს არ შეუძლია, უნარი არ შესწევს ჩუმად იცხოვროს. ხმაურობენ ავტომობილები (ოჰ, რამდენი ავტომობილია თბილისში!), რომლებიც ან აღმართზე არბიან, ან დაღმართზე ეშვებიან სპორტული სიჩქარით. თუმცა სასტიკად აკრძალულია, მძღოლები მაინც აყვირებენ სიგნალებს, ანდა, როგორ არ დააყვირონ, თუკი ეს სიგნალები საზღვარგარეთულია, მუსიკალურია, და სწორედ იმიტომაა შეძენილი, რომ ხმამაღლა არაკრაკონ. ხმაურობს ქორწილი, ხმაურობს სამშენებლო მექანიზმები და კომპრესორები, ნიადაგ რაღაცა შენდება, ნიადაგ რაღაცა კეთდება. ხმაურობს ის ორი კაცი, ერთმანეთს რომ ქუჩაში შეხვდა და ასე გგონია, სადაცაა ერთმანეთს გაგლეჯავს. სინამდვილეში აზრთა მეგობრული გაცვლა-გამოცვლა ხდება.

თბილის-ქალაქში სამგზავრო ტრანსპორტის ორი იშვიათი სახეობა არსებობს: საჰაერო-საბაგირო გზა და მოძრავი ტროტუარი.

თბილის-ქალაქი ლაპარაკობს ქართულად, და რა თქმა უნდა, რუსულად, კიდევ სომხურად, აზერბაიჯანულად, ოსურად, ბერძნულად, ასირიულად, ბოშურად, ებრაულად, პოლონურად... აქ უნდა შევჩერდეთ, რადგან დანარჩენი სამოცდაათი ენა ძალიან იშვიათად ისმის.

თბილის-ქალაქი ქვის ბალიშზე წევს. სხვანაირად რომ ვთქვათ, ეს ბალიში ქვებითა და ცხელი წყლებითაა გატენილი. იქ, სადაც წყალი სამკურნალოა,

მკურნალობენ, სადაც ისე, მხოლოდ ცხელი — ბანაობენ, იქ, სადაც ცხელ წყალს, ამ ბოლო დროს, ღრმა ჭაბურღილებიდან იღებენ, სათბობ ქსელში და სასათბურო მეურნეობაში უშვებენ. ასე ამართლებს ქალაქი თავის სახელს — თბილისი — თბილი.

ამ უკანასკნელ წლებში, თბილის-ქალაქის საზოგადოებრივ და შრომითს კლიმატში ცვლილებები მოხდა.

თბილისის საქალაქო საბჭოს თავმჯდომარემ ბახვა ლობჟანიძემ ზოგიერთი ცვლილება ასე დაგვიხასიათა.

— დაიძრა ბინის მთხოვნელთა წლობით გაყინული რიგი. ადამიანები, რომელთაც გადაწურული ჰქონდათ იმედი, რომ ვინმე ოდესმე მოიგონებდა, სრულიად მოულოდნელად, საბინაო განყოფილებიდან მოწვევის — ღია ბარათს იღებენ, რასაც მერე ორდერი მოჰყვება ფეხდაფეხ. სამ წელიწადში თორმეტი ათასია ასეთი.

როგორც იქნა, გადავწყვიტეთ ქალაქის გათბობისა და წყლით მომარაგების პრობლემა. გავიყვანეთ ახალი გზა აეროპორტისაკენ, გავწმინდეთ მტკვარი ჩამდინარე წყლებისაგან, გავაუმჯობესეთ თბილისის მომარაგება ხილითა და ბოსტნეულით...

საბჭოს მუშაობის დემოკრატიზაცია იმითაც გამოიხატა, რომ აღმასკომის სხდომებზე ვიწვევთ მოქალაქეებს, მშრომელებს. რატომ? იმიტომ, რომ გაიგონ რასა და როგორ საკითხებსა ვწყვეტთ. ეს ,,გარეშე‘‘ თვალი ჩვენთვის კიდევ ერთი ,,კონტროლია ქვემოდან‘‘, მოქალაქეთათვის კი, — კიდევ ერთი ინფორმაციის წყარო.

თბილისელებისთვის ტრადიციად იქცა ყვავილებისა და ჩაის დღესასწაული. სამართლიანობა მოითხოვს და უნდა ვთქვათ, რომ დღესასწაული დღესასწაულია, მაგრამ ყვავილები და მწვანე ნარგავები იმაზე ნაკლებია ქალაქში, ვიდრე უნდა იყოს. რაც შეეხება ჩაის, იგი მართალია დამკვიდრებულია თბილისელის ყოფაში, მაგრამ ჩაის მაინც ჩაგრავს ისეთი სასმელი, როგორიც ღვინო გახლავთ. მართალია, საკითხის არსი ორთაბრძოლა კი არა, მშვიდობიანი თანაარსებობაა, მაგრამ ცხოვრება ისეთია, რომ მშვიდობიანი თანაარსებობისთვისაც ბრძოლაა საჭირო!..

თბილის-ქალაქი პოეტურ აღმაფრენას ბადებს. ,,სიცოცხლეზე მეტად მწადია თბილისის მონახულება. — წერდა დიდი რუსი კომპოზიტორი პეტრე ილიას-ძე ჩაიკოვსკი. — თბილისს ტკბილი სიზმარივით ვიგონებ...‘‘

ერთხელ მთაწმინდიდან თბილისს გადმომზირალმა ვლადიმერ მაიაკოვსკიმ თქვა:

— აი, ტრიბუნა! აქედან მსოფლიოს შეგიძლია ელაპარაკო...

,,ქართველო პოეტებო, თქვენი ძმა და



ფოტოები ს. კიჯაძის



ეროვნული ბიბლიოთეკა







მეგობარი ვარ“. — წერდა სერგეი ესენინი.

ქართველ პოეტებს, როგორც ყველა ნამდვილ პოეტს, მარტო ბულბულივით არასოდეს უგალობიათ. ისინი მუდამ ხალხის სულს გამოხატავდნენ, მის ტკივილს, — მის მისწრაფებებს. გახდა თუ არა საქართველო საბჭოთა რესპუბლიკა, თბილისელებმა თავიანთ საუკეთესო პროსპექტებს უწოდეს შოთა რუსთაველის, ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, ვაჟა-ფშაველას სახელები.

განა ესეც თბილისელთა მაღალი პოეტური განწყობის დასტური არ არის?! განწყობისა, რომელიც ცხოვრებასა და შენებას გვიადვილებს?!

თბილისელი სიმღერას ლირიკულს მღერის, კერძს კი ცხარეს ამჯობინებს. არის ასეთი გამოთქმა: „პურ-მარილი“. პურ-მარილი აქ საკმაოდ გავრცელებულია. მაგრამ მას უნდა დავუმატოთ „პურ-ყველი“. უყველოდ თბილისელს ცხოვრება არ შეუძლია. ამიტომაც ქალაქგარე ყველსაცავებიდან ყოველ დილით თბილისში ტონობით ყველი შემოდის. ამ ყველს ძირითადად მთიან რაიონებში ამზადებენ: ესაა „ცრემლიანი“, მარილიანი ყველი, ამბობენ „როცა ყველი ტირის, მყიდველი კმაყოფილიაო“.

თბილის-ქალაქის წარმოდგენა რუსთაველის პროსპექტის გარეშე შეუძლებელია: მაღაზიები, თეატრები, მუზეუმები, სუვენირების სალონები, ბილეთების სალაროები, ეგზოტიკური სარდაფები, რედაქციები, კაფეები. ნაპირებს ეხლება ადამიანთა მდინარე, ამ მდინარეში ემოციათა მთელ გამას იხილავთ. მჩქეფარე, გადამდები, ჯანსაღი მხიარულებიდან კეკლუც აპატიამდე, ბანალური უხეშობიდან ესპანელ იდალგოთა გალანტურობამდე. ახლა ტუალეტები! მოდები! თმადათოვლილ მოხუცთა არტისტული მანერები, მოვლილი ბავშვები, ღიმილი. ქალაქის რომელ ბოლოსაც უნდა ცხოვრობდეს თბილისელი, რითაც უნდა იყოს დაკავებული სამუშაო საათებში, საღამოთი გული მაინც რუსთაველის პროსპექტისაკენ მიუწევს — თვალს წყალი უნდა დაალევინოს, ხალხში გამოჩნდეს, მეგობარს შეხვდეს.

თბილისი — ერთ-ერთი მოკავშირე რესპუბლიკის დედაქალაქია, ქალაქი, რომლის ცხოვრებას ვერაფრით გამოარჩევ ნებისმიერი საბჭოთა ქალაქის ცხოვრებიდან... მაგრამ ხალხური ტრადიციები, საზოგადოების ტემპერამენტის თავისებურებები, ცხოვრების შინაგანი და გარეგნული სტილი, აი ყოველივე ის, რაც მის კოლორიტს ქმნის. ასეთია, ალბათ, ნამდვილი სახე ყველა ჩვენი ქალაქისა, მათ შორის თბილისისაც.

წერილი გადმობეჭდილია ჟურნალ „ოგონიოკიდან“.



ეკონომიური და სოციალისტური პროგრესის მძლავრი ბერკეტი, მშრომელთა პოლიტიკური, შრომითი და ზნეობრივი აღზრდის სკოლაა სოციალისტური შეჯიბრება, რომელსაც ჭეშმარიტად საყოველთაო სახალხო ხასიათი მიეცია და უფრო მაღალ საფეხურზე ავიდა. იგი განუწყვეტლივ მდიდრდება ახალი გამოცდილებით, შესანიშნავი პატრიოტული თაოსნობებით.

*სკკპ ცენტრალური კომიტეტის წერილიდან.*

## ნოვატორის სკოლა

# მისთვის უკვე 1982 წელია

რუსთავის ქიმიური ბოჭკოს ქარხანაში დღეისათვის 180 შრომის ნოვატორია, რომლებმაც დიდი ხნის წინათ უპატაკეს სამშობლოს მეათე ხუთწლიანი გეგმის შესრულება და მეთერთმეტე ხუთწლედის ანგარიშში დაიწყეს მუშაობა. მათ შორის არიან ოქტომბრის რევოლუციის ორდენის კავალერი გალინა ქარჩავა, ნოვატორი მძახავები ნელი გელაშვილი, ვენერა მუშკუდიანი და სხვები.

ქიმიური ბოჭკოს ქარხნის საგრეხი საამქროს შესასვლელში პირველივე დანადგარის თავზე მომღიმარი ქალის პორტრეტია წარწერით: „აქ მუშაობს კომუნისტური შრომის დამკვრელი, შრომის წითელი დროშის ორდენის კავალერი სოფიო ჯაბანაშვილი. იგი ახლა 1982 წლის ანგარიშში უშვებს პროდუქციას".

აგერ ისიც დაზგასთან დგას. ბობინიდან ატაცებული ძაფის წვერები მარდად გადააქვს ძაფმატარებსა და ძაფგამანაწილებლებს შორის. ძაფი ელვისებურად ეხვევა თითისტარს. ამ ოპერაციას, ჩვეულებრივ, 16 წამი სჭირდება, სოფიო კი 8 წამში ასწრებს.

გადამხვევ საამქროში ჯერ კიდევ შარშან ჩამოყალიბდა სოფიოს სკოლა. იგი ჯერ თვით სოფიოს ბრიგადაში შეიქმნა, შემდეგ კი — სამივე ცვლაში. თითოეულში ათ-ათი მოსწავლე ირიცხება, რომლებიც სოფიოს ხელმძღვანელობით ოსტატდებიან, ეუფლებიან გადამხვევის პროფესიას. ნოვატორ მგრეხავს რჩევისათვის მარტო ახალბედები კი არა, საკმაო შრომითი გამოცდილების მქონე თანამოსაქმენიც ხშირად მიმართავენ.

წარმატება თავისთავად არ მოსულა, იგი სოფიო ჯაბანაშვილის მრავალწლიანი დაუღალავი ძიებისა და თავდადებული შრომის შედეგია. შრომისმოყვარეობა ლენინგორელი კოლმეურნის ნიკოლოზ გამხიტაშვილის მრავალრიცხოვანი ოჯახიდან გამოჰყვა, ხოლო რუსთავის ქიმიური ბოჭკოს ქარხანაში კიდევ უფრო გაუძლიერდა.

სოფიო პირველად გამოცდილი მგრეხავის — ეთერ ჯალიაშვილის შეგირდი იყო. მაშინ თითოეული გადამხვეველი ერთ 32-თითისტარიან მანქანას ემსახურებოდა. სოფიოს უკვირდა, როგორ ასწრებდნენ გადამხვევლები ამდენი თითისტრის მოვლას. მაშინ აბრეშუმის ძაფის გრეხვის ტექნოლოგიაში ბევრი სირთულე იყო. მგრეხავი ერთ თითისტარზე ხუთ ოპერაციას ასრულებდა, რისთვისაც დიდი დაკვირვება და სიდინჯე მოეთხოვებოდა.

რა იქნება ზოგიერთი ოპერაცია გამოვტოვო, საქმე გავამარტივოო, — გაიფიქრებდა ხოლმე სოფიო. მართლაც, ერთ დღეს თითისტარზე შემზღუდველ ძარაში ორი საფეხური შეამცირა, სხვები ჩვეულებრივ აამუშავა. იგი მალიმალ ამოწმებდა ნართს, ადარებდა ჩვეულებრივ ნაქსოვს და როცა განსხვავება ვერ ნახა, ნართი ამხანაგებს გაასინჯა. ვერც ყოფილმა მასწავლებელმა ეთერ ჯალიაშვილმა, ვერც ქარგალმა და ვერც საამქროს უფროსმა წუნი ვერ უნახეს ახალი მეთოდით მიღებულ პროდუქციას, ტექნიკურმა კონტროლმა უკეთესი შეფასებაც კი მისცა.

ახლა უფრო გაბედულად აამუშავა სოფიომ თითქმის ყველა თითისტარი გამარტივებული ტექნოლოგიით. თუ წინათ ძაფის წვერის გამართვას ვერ ასწრებდა, ახლა უკვე დიდძალი თავისუფალი დრო რჩება, რაც მთავარია, ხელიც გაეწაფა, თითებიც თავად პოულობენ ძაფის წვერს, მათი ყოველი მოძრაობა უფრო დაიხვეწა.

სამუშაო დღის დამთავრების შემდეგ სოფიო არ ჩქარობდა შინ წასვლას. იგი საგულდაგულოდ გააპრიალებდა მანქანას, შეამოწმებდა ყველა თითისტარს. საეჭვოს თუ შეამჩნევდა რამეს, ქარგალს მოიხმობდა და დაზიანებულ დეტალს მასთან ერთად შეაკეთებდა. მერე ხელსაწყოებსა და ნედლეულს მოიმარაგებდა: როცა ყველაფერს

მორჩებოდა, დამშვიდებული და დაიმედებული მიდიოდა შინ.

მეცხრე ხუთწლედში სოფიომ ათი წლის გეგმას გადააჭარბა და მეთერთმეტე ხუთწლედის ანგარიშში დაიწყო შრომა. ეს დიდი გამარჯვება იყო.

როცა თავისი შესაძლებლობანი ირწმუნა, ნოვატორმა მგრეხავმა გადაწყვიტა გაშლილი ფრონტით ემუშავა. მის წინადადებას მაშინვე დაეთანხმნენ, დაზგის მეორე მხარე დაუთმეს. სოფიო ამჟამად 64 თითისტარს ემსახურება. მან საამქროში პირველმა გაუხსნა გზა მრავალდაზგოსნობას.

ნოვატორული თაოსნობა მაშინ იძლევა სრულ ეფექტს, როცა კოლექტივის საკუთრებად იქცევა. სოფიომ თავის ამხანაგებსაც შეასწავლა თითისტარის გაწყობა 16 წამის ნაცვლად 8 წამში, როცა 64 თითისტარს ემსახურები, დროის ასეთი დანაზოგი ცოტას როდი ნიშნავს. ეს წამები საათებს უზოგავს ნოვატორს. საათები კი კილოგრამებს იძლევა.

სოფიო ჯაბანაშვილი მალე თვითკონტროლზე გადავიდა. ან რა საჭიროა მის ნამუშევარს ამოწმებდეს, დამღას აკრავდეს კონტროლიორი, განა თვითონ უკეთ არ იცის, როგორი ნაწარმი გამოუვიდა? კონტროლიორს შეუძლია მასრაზე დახვეული ძაფი გარეგნულად შეამოწმოს, სოფიო კი მის შიგნით იხედება. მან კარგად იცის, რომ ყველაზე დიდი, საიმედო კონტროლი საკუთარი სინდისია... და მართლაც, არავის ახსოვს სოფიოს ნაწარმისათვის წუნი დაედოს ვინმეს. სოფიო ჯაბანაშვილი დიდი ხანია საკუთარი დამღით უშვებს პროდუქციას.

მგრეხავების საშუალო დღიური გეგმა 77 კილოგრამია, სოფიომ 90 კილოგრამის დამზადება ითავა და ამ გაზრდილ გეგმასაც ყოველდღიურად 210-220 პროცენტით ასრულებს.

სოფიომ სახელი გაუთქვა თავის კოლექტივს. იგი ქიმიკოსთა ორი საკავშირო კონკურსის მონაწილეა და პროფესიაში საუკეთესო მუშის სახელი აქვს მინიჭებული. ამასწინათ სარატოვის ოლქის ქალაქ ენგელსის ქიმიურ ქარხანაში მიიწვიეს, სადაც შეხვდა კოლეგას, სოციალისტური შრომის გმირს ანასტასია კაგაჩოვას. მათ ერთმანეთს გაუზიარეს თავიანთი გამოცდილება. ქართველი ქიმიკოსი ქალის ხელოვნებამ, პროფესიულმა ოსტატობამ და სინატიფემ ყველა მოხიბლა.

ნოვატორი მგრეხავი ქიმიკოსთაგან ერთ-ერთი პირველი გამოეხმაურა მეტალურგთა თაოსნობას და ხელი შეუწყო თავის ბრიგადაში მის პრაქტიკულად განხორციელებას. „არცერთი ჩამორჩენილი, არცერთი დისციპლინის დამრღვევი არ იყოს ჩვენს გვერდით, მაქსიმალურად გამოვიყენოთ თითოეული სამუშაო წუთი, რათა წარმატებით გავანაღდოთ მეათე ხუთწლედის დავალება!“ — ამ დევიზით შრომობენ ახლა მოწინავე მგრეხავები.

გ. ჯახუა

# პირველი ზეკარი

მხატვარი დ. ერისთავი



ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯემალ [illegible]

მოთხრობა

**ალპინისტი არ გახლავართ და გამიჭირდა პირველი ზეკარის დაპყრობა. წარმოიდგინეთ, რა დიდი იქნებოდა ჩემი გაოცება, როდესაც ზედ უღელტეხილზე ხუთი წლის გოგონა დამხვდა. მამას წამოეყვანა მარადი კავკასიონის თოვლყინულოვან ბილიკებზე. მომხიბლა ამ ბავშვის სიმამაცემ...**

ხუთი წლის თამუნია ნიჟარაძეს გაზაფხულზე დედა მოუკვდა. დედას ავადმყოფობა ნალჩიკში წამოეწია, სადაც მამა მსახურობდა. თამუნიამ არ იცოდა რა იყო სიკვდილი, მაგრამ მიხვდა, რომ დედა სადღაც შორს უნდა წასულიყო და შეიძლება დიდხანს ვერ ეხილა. „ნუ გეშინია, დედიკო, — მოეფერა, როცა დედასთან თეთრად გაქათქათებულ პალატაში შეიყვანეს,— ცხოვრებიდან თუ წახვედი, მეც გამოგყვები“. „ცხოვრებიდან წასვლა“ მოხუცი მეეზოვისაგან მოისმინა. იყო ამ სიტყვებში რაღაც იდუმალი, უცნაური, როგორც შორეულ და დიდ ქალაქში მოულოდნელი გამგზავრება. დედას გული ამოუჯდა, სუსტად უჭერდა ბავშვის ფუნჩულა მაჯას თავის უსიცოცხლო ცვილისფერ ხელს, რომელიც ლურჯ სისხლძარღვებს დაექსელა, თვალებიდან კი თავისთავად ღაპაღუპით სდიოდა ცრემლი.

თამუნიას არ უტირია. შეეგუა აზრს, რომ დედა „ცხოვრებიდან წავიდოდა“. დილიდან საღამომდე იჯდა გამოკეტილ ბინაში და წერილებს „ხატავდა“ დედისათვის. მარტო ვარდების დახატვა შეეძლო. ვარდებს ყოველთვის ყვითელი გული ჰქონდა, ფოთლები კი ყოველნაირი ფერისა.

ერთ დღეს მამა ადრე მოვიდა. თამუნია გულში ჩაიკრა. ძალიან ცდილობდა თავის შეკავებას, ხმა მაინც აუთრთოლდა.

„დედა წავიდა“, — წასჩურჩულა.

თამუნიას არც ახლა უტირია, ოღონდ გული დასწყდა, დედა შორს წავიდა და რატომ არ გამომეთხოვაო.

„დედა სულ წავიდა“. — ეტიტინებოდა თავის ფერად ყვავილებს და დილიდან საღამომდე ხატავდა.

ასე მოვიდა ზაფხული...

ჰაერი გამჭვირვალე გახდა. ცა ჰორიზონტამდე ლურჯი იყო და ზედ ცის კიდეზე კაშკაშებდა შორეული კავკასიონი.

მამა და შვილი საფლავთან იდგნენ. „უდედობას ადვილად შეეგუა, — სევდიანი ფიქრი ეწვია მამას, — ბავშვია, სიკვდილისა რა გაეგება...“ თუმცა თვითონაც ეჩვეოდა უკვე და ეს აშინებდა. თავს ძალას ატანდა, მხრებში იკუნტებოდა, საფლავს თვალს არ აშორებდა, მაგრამ სიცოცხლე თავისას მოითხოვდა და მეხსიერების ვრცელ ველზე თანდათან ქრებოდა ძველი ვნებებისა და განცდების კვალი.

„მამა, დედიკო აქ არ არის!“ — თქვა უცებ ბავშვმა.

კაცი შეკრთა. ფიქრებიდან გამოერკვა, ვერ მიხვდა, რისი თქმა უნდოდა ბავშვს.

„დედიკო იქით წავიდა!“

თოვლიანი ქედის გრაგნილისაკენ გაიშვირა თითი.

ხმაში საყვედური იგრძნობოდა.

„ჯობს სამოგზაუროდ წავიყვანო, — გაიფიქრა მამამ, — გულს გადააყოლებს... ბოლოსდაბოლოს, ხომ უნდა ვიცოცხლოთ...“

* * *

ჩეგეტში ავტობუსით ჩავიდნენ. ორი დღე დააყოვნეს ტურისტულ სასტუმროში. დღისით ხელიხელჩაკიდებულნი სეირნობდნენ. ნარზანის ველი, ტერსკოლი, იტკოლი მოიარეს, იალბუზის კალთაზე სამხედრო დიდების მუზეუმს ეწვივნენ, საბაგირო გზით „კრუგოზორზე“ ავიდნენ და მრავალი საათი უთვალთვალეს გრანდიოზულ იალბუზს, რომლის მწვერვალები ხანდახან თუ გამოკრთებოდა ქათქათა თეთრი ღრუბლებიდან.

მესამე დილას ფართო ბილიკს შეუყვნენ ბაქსანის სათავისაკენ. გზა მაინცდამაინც საძნელო არ იყო, მაგრამ თხუთმეტი—ოცი კილომეტრი ბავშვს კი არა, დიდსაც დაღლიდა. პაწია ზურგჩანთა, რომელშიც თამუნიას საცვლები, პირსახოცი და კბილის ჯაგრისი იდო, თავდაპირველად მსუბუქი ჩანდა, მერე კი თანდათან დამძიმდა.

მამა არ ჩქარობდა. ხშირად ჩერდებოდნენ დასასვენებლად. თამუნიას სიამოვნებდა ხეშეშ მდელოზე კოტრიალი. თავზევით გადმოყუდებული იყო ულურჯესი ცა, რომელსაც ხანდახან კრძალვით გადაუვლიდა ღრუბლის ქათქათა ქულა, სანამ რომელიმე ბასრ მწვერვალს არ წააწყდებოდა, როგორც თეთრი გემი მეჩეჩს. თუ არა და, მზის სხივები სჭვალავდა ეთერს, ავსებდა გრილ ჰაერს, ლივლივებდა, მირაჟებს ბადებდა... „აქ არის დედა“, — ყოყმანით ფიქრობდა თამუნია. მართლაც ვინ იცოდა, სად იყო დედა.იქნებ მთლად იმ ღრუბლის თეთრ ქულაში იჯდა. თვითონაც თეთრი სამოსი ეცვა, თავზე გვირგვინად მზე ადგა და ზევიდან გადმოჰყურებდა თამუნიას... იქნებ ლურჯ სივრცეში მისრიალებდა, გამჭვირვალე, ლურჯი სამოსი შემოტმასნოდა ტანზე, ამ გრილ და მსუბუქ ჰაერში ბანაობდა...

დაიღლებოდა ცის თვალთვალით, წამოჯდებოდა. მთის ფერდობიდან, რომელსაც ბილიკი სარტყელივით წელზე შემოერტყა, ხეობის გაღმა აყუდებული თოვლ-ყინულოვანი დონღუზ-ორუნი ჩანდა. პირქუშ კლდეებს მხრებით აეზიდა ყინულის მძიმე გველეშაპი. ყინულის ენები შემოტმასნოდა შავ ქარაფებს, ვითარცა ბავშვის მკლავები მამის გარუჯულ კისერს. მზეჭაბუკის მიერ განგმირულ ვეშაპს თავი გადმოეგდო, ხახიდან მოწამლულ ჩანჩქერს ასხამდა, წამიდან წამზე შეიძლებოდა მომსკდარიყო და გრიალი მოედინა ხევში, სადაც შაბიამნისფერი, უძირო ტბიდან ცივი ნაკადული მოქოთქოთებდა.

„იქ არის დედა“, — ფიქრობდა თამუნია. იქნებ მთლად გრძნეულის ციხე-კოშკი იყო დონღუზ-ორუნი, უთვალავი სენაკები გამოეჭრათ მასში ჯადოქრებს და ერთ მათგანში ჩაემწყვდიათ თამუნიას ლამაზი დედა, ახლაც თოვლისა და ყინულის ურჩხულები დარაჯობენ შემოსასვლელს; ან იქნებ დონღუზ-ორუნის შაბიამნისფერ ტბაში ბანაობდა და იმ ფერთა ცვალებადობაში ძნელი იყო რამის გარჩევა...

„წავიდეთ“, — ხმადაბლა იტყოდა მამა, მძიმე ზურგჩანთას მოიგდებდა, თამუნიასაც შეაშველებდა ხელს და აუჩქარებლად მიიწევდნენ ბუმბერაზი მთების სამყაროში, რომელიც სავსე იყო უცნაური სინათლითა და ფერებით. და თამუნიას სულში შემოდიოდა რაღაც სერიოზული, ყოვლისმომცველი, ნათელი...

„მალე დავეწევით დედიკოს, თუ ვიჩქარებთ... — ფიქრობდა, მაგრამ მამას არაფერს ეუბნებოდა. — ეს დედიკოს ბილიკია, ახლახან გაიარა... იქნებ იმ მოსახვევს მიღმა მიცდის...“

„ეჰ, ბავშვია, ამიტომაც ასე ადვილად დაივიწყა“, — მამამ არ იცოდა სწყენოდა თუ გახარებოდა, უადგილოდ და უდროოდ შესთავაზებდა: „აჰა, ვაშლი, ჭამე!“

გვიან ღამეს მიაღწიეს მხიარული, თავაწყვეტილი ტურისტებით სავსე „ჩრდილოეთის თავშესაფარს“, სადაც გიტარის ხმაზე ველური, რიტმული ცეკვით კოცონს გარს უვლიდნენ წვეროსანი, თმამოშვებული ბიჭები, ჯინსებიანი გოგონები, მოგზაურობის ფანატიკოსი ბერიკაცები.

სანამ მამა კარავს გაშლიდა და ჩაის აადუღებდა, თამუნიამ მთელი „თავშესაფარი“ დაიარა. ყოველ ქალს სახეში ჩასცქეროდა, იქნებ სადმე დედიკოს წავაწყდეო. ზოგი ყურადღებას არ აქცევდა, ზოგი ღიმილს შეაგებებდა, ზოგი ლოყაზე კოცნიდა ან ჩქმეტდა; მაგრამ, დედიკო არსად იყო და თამუნიამ ერთი ღრმად ამოიოხრა.

მერე ის და მამა კარვის შესასვლელთან ისხდნენ, ჩაის სვამდნენ და მოცეკვავეებს უყურებდნენ. ცა მოიჭიქა უთვალავი ვარსკვლავებით. კოცონის შუქზე როკავდნენ ადამიანები და თამუნიას თანდათან ძილმა წაართვა თავი. ვარსკვლავეთიდან დაეშვა თვალებბრიალა დედოფალი, ხელში აიტაცა პატარა გოგო და დაარწია. წამით შეეშინდა კიდეც თამუნიას, მაგრამ დედის თბილი სურნელი იგრძნო და მინებდა. როცა გამოეღვიძა, გარეთ ჯერაც ბნელოდა. მამის მშვიდ ფშვინვას შეერთო სუსტი ნიავის ფაჩუნი, მთების კალთებზე ნაკადულების ხმაშეწყობილი ჩუხჩუხი...

იმ დღეს არსად წასულან. თამუნიას თავბრუ ეხვეოდა, გული უფართქალებდა. პირველად იგრძნო, რომ გული ჰქონდა... დღე უსაშველოდ გადიდდა. მოსწინდა თოვლიანი მთების თვალთვალი, დონღუზ-ორუნის ტბის ფერთა უცნაური ცვალებადობა... ნაშუადღევს ჭახანი გაიგონა, თითქოს ვიღაცამ გაისროლა. მყინვარის ენა გაიბზარა, მიუჩოჩდა ცივ ტბას, სუსტი ტალღების წრეები გაიშალა შაბიამნისფერ ზედაპირზე, აქერცლა...

თავბრუსხვევამ გადაუარა, გული დაუამდა, დაღლილობა გაქრა. სწყუროდა, ცივი წყალი მოენატრა, მამა კი ჩაის აძალებდა, აქაური წყალი ყელს გატკენსო. მაინც გასინჯა. ეგონა, კბილები ჩაემსხვრეოდა. ახლადგამდნარი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჭუჭყიანი თოვლის გემოც ჰქონდა და წყალზე ფიქრს თავი მიანება.

იმ ღამეს ადრე დაწვნენ და ძილში დედა გამოეცხადა. მასაც შარვალი შემოტმასნოდა, მძიმე ზურგჩანთა მოეგდო, ხელში ჯოხი ეჭირა, მტვრიანი ბათინკები ეცვა. დაიხარა, ლბილი ბაგეები თამუნიას ლოყას შეახო და გაშორდა. ნელინელ მიჰყვებოდა ვიწრო ბილიკს, რომელიც თეთრად აბრჭყვიალებულ ყინულეთში იკარგებოდა.

მამამ უთენია გამოაღვიძა. ღამეული ბინდი იცრიცებოდა და დაობლებული ვარსკვლავები რიგრიგობით ქრებოდნენ. ძნელი იყო თბილი საძილე ტომრიდან ამოსვლა, სიცივისაგან ტანზე ბუსუსები დააყარა, მაგრამ უხმოდ ასრულებდა მამის ყოველ სიტყვას.

ჩუმად დალიეს თითო ჭიქა ცხელი ჩაი და ბინდში მკაფიოდ გამოკვეთილ ბილიკს დაადგნენ. თამუნიას გაეპარა ის წამი, როცა სინათლე მომძლავრდა და ბინდი მთლად გაქრა, მიიშრიტა. მთათა მწვერვალები უკვე კაშკაშებდნენ, ცეცხლი ეკიდათ, მზის მეწამული სხივები ეფინებოდა ფერდობებს, ოღონდაც, ხეობის ფსკერამდე, ალბათ, კარგა ხანს ვერ ჩამოაღწევდა.

დილის სუსხმა ლოყები დაუბრაწა, საყელოში უძვრებოდა. თამუნია ხელებს ჯიბეებში მალავდა. მამამ პატარა ზურგჩანთა აართვა და უფრო თავისუფლად მოდიოდა, ჩქარი მოძრაობა ათბობდა. როცა გზას უცაბედად ნაკადული გადაჭრიდა, შეჩერდებოდა, მამას უხმოდ ახედავდა; მაშინ ბავშვის პაწია ხელი იკარგებოდა კაცის უზარმაზარ ხელში და თამუნია ელვისუსწრაფესად აღმოჩნდებოდა მოპირდაპირე ნაპირზე.

ხეობის თავთან სხვადასხვა მყინვარიდან ჩამომდინარე წყალი ზათქით ერთდებოდა, უფრო ქვევით კი, სწორზე, ფართოდ იშლებოდა, ხმას კარგავდა.

მამამ თამუნია მხრებზე შეისვა. გაღმა გაიყვანა.

იქ დიდ ლოდს მზის სხივთა ანარეკლი დასცემოდა. სითბო არ მოჰქონდა, მაგრამ თამუნიას მაინც ესიამოვნა და იმ ადგილზე მოიკუნტა.

თითქოსდა ახლახან გამოვიდნენ „ჩრდილოეთის თავშესაფრიდან", კაი სამი საათი კი გასულიყო.

ორივე დაიმშა და მამამ ზურგჩანთა გახსნა, ღარიბული სუფრა გაშალა. ცდილობდა მხიარულება გამოესახა, ხუმრობდა და იცინოდა, ხანდახან წკიპურტს გაჰკრავდა თამუნიას შეწითლებულ ცხვირზე და საზეიმო გამომეტყველებით იტყოდა: „ღრმად პატივცემული მოგზაური და ალპინისტი, მრავალი ზეკარისა და თოვლიანი მწვერვალის დამპყრობი თამუნია ნიჟარაძე..." ეს ძალდატანებითი მხიარულება თამუნიას არ ართობდა და იგი სერიოზული, სევდიანი თვალებით გაჰყურებდა მაღალ ზეკარს, რომელიც ვიწრო უნაგირივით ჩაჭყლეტილიყო ორ მოდარაჯე კლდეს შორის.

ტურისტების დიდმა ჯგუფმა ჩაიარა. ხმაურით მიესალმნენ მამა-შვილს, ჩქარობდნენ, ნაშუადღევს მყინვარის ზედაპირი მოლღვება და გზა გაფუჭდებაო. ესენიც ხომ უნდა აჩქარებულიყვნენ, მაგრამ მამა ბოლო წუთს დაფრთხა, ვაი თუ, ბავშვი გადამეღალოსო. ტურისტები კი ლოდნარში ხან გამოჩნდებოდნენ, ხან ქრებოდნენ. კარგა ხნის შემდეგ, ერთმანეთის მიყოლებით გასისწვრივდნენ და აქედან მყინვარის თეთრ, კამკაშა ველზე მიყინულ შავ ბურთულებს დაემსგავსნენ.

„დროა!" — მამამ პურის ნამცეცები კალთიდან ჩამოიფერთხა. თამუნიამაც წამოიწია, თვითონაც ზუსტად მამასავით ჩამოიფერთხა ნამცეცები.

„წავიდეთ!" — დიდის სერიოზულობით შეეპასუხა, ფიქრში კი დასძინა: „დედიკო ხომ მარტოკა მიდიოდა..."

ხვინჭკითა და ქვანაშალით დაფარული ტაფობი სწრაფად მოლიეს.

თავზევით წამოიგრაგნა თვალშეუწვდენი ლოდნაყარი. ბოროტი გველეშაპივით იწვა ფერდზე და თამუნია მის კუდს ვერ ხედავდა. უზარმაზარი, უხეშად მოხეთქილი ლოდები ერთმანეთზე იყო ახორავებული და ყოველი მათგანი ცდილობდა როგორმე დაერღვია მყიფე, სუსტი წონასწორობა, გრიალით ჩამოსულიყო და მომხდური გაესრისა. თამუნია თავს ისე გრძნობდა, თითქოს ზღაპრული გველეშაპის ხახაში აპირებდა შესვლას.

მამას შეხედა. კაცი ლოდებს ათვალიერებდა. ბილიკის სუსტი კვალი წამდაუწუმ იკარგებოდა.

„მე მგონი აქ გაიარეს!" — ტურისტებზე თქვა.

„დედიკომაც აქ გაიარა", — გაიფიქრა თამუნიამ. დედიკო ბოლო დროს ისეთი უსხეულო და მსუბუქი იყო, მისი სიმძიმე ქვას ვერ შეაქანებდა, კენჭს ვერ მოსწყვეტდა ადგილიდან. სენისაგან დალეული, პეპელას უფრო ჰგავდა, ყვავილიდან ყვავილზე რომ დაფარფატებს.

პირველი ლოდი ურჩხულის უშნო, გამოხრული კბილებივით ამოსულიყო. თამუნია ნახევრადაც ვერ სწვდებოდა. მამამ იღლიებში ჩაავლო ხელი და ზედ შესვა. თამუნია ელოდა, ლოდი შექანდება, შეტორტმანდება და ზურგიდან გადამისვრისო, მაგრამ ლოდი მყარად იდგა და გოგონამ თვითონაც კარგად გაარჩია ბილიკის სუსტი კვალი, რომელიც ერთი ლოდიდან მეორეზე გადადიოდა.

„ფრთხილად", — წასჩურჩულა მამამ.

შეაკრთო ამ ჩურჩულმა. უკაცურ მთებში, სადაც არავინ არაფერს გიკრძალავს, უცებ მამა ჩურჩულით ელაპარაკებოდა, თითქოს მის სუსტ ხმას შეეძლო დაერღვია ეს საუკუნოვანი წონასწორობა.

მამისთვის მაინც არ მიუხედია. მისი გაწვდილი ხელი არ აიღო, რადგან ძნელი იყო ვიწრო ბილიკზე გვერდიგვერდ სიარული. აუჩქარებლად, სინჯვა-სინჯვით გადაცოცდა მეორე ლოდზე, იქიდან მესამეზე, მეოთხეზე... მამა ფეხდაფეხ მიჰყვებოდა ბავშვს. თუ საჭირო გახდებოდა, მზად იყო თავგანწირული ნახტომისათვის, მაგრამ პატარა გოგო თავდაჯერებულის სიდინჯით მიიწევდა და მამას კიდეც აშინებდა, კიდეც ახარებდა თავისი პირმშოს ეს სწრაფვა.

„ჩხაკ!" — შეტორტმანდა ლოდი, წახნაგი წაჰკრა სხვას. თამუნია ადგილს მიეწება, წამიერმა შიშმა დაზაფრა. აქამდე არაფერი იცოდა ეგოდენ ძლიერი შიშის არსებობისა. მოეჩვენა, რომ ვარდებოდა, მაგრამ ვიღაც უჩინარმა, უსხეულომ დედობრივი სითბო მოაფრქვია, ხელი შეაშველა. მამის ღონიერი ხელი უნდა ყოფილიყო, მაგრამ თამუნიამ არ მოიხედა, რადგან თვითონ დაიჯერა, დედამ წამავლო ხელიო და არ სურდა იმედი გასცრუებოდა.

შუა წელამდეც არ იყვნენ მიღწეულნი, უკვე დაიღალა. საკმარისი იყო დაეჩივლა, მამა ზურგჩანთას დააგდებდა, ხელში აიტატებდა და ისე აიყვანდა თვით ზეკარამდე. მაგრამ ესმოდა მამის აჩქარებული სუნთქვა, ეცოდებოდა და ცდილობდა ჩივილი არ დასცდენოდა...

გზა თოვლის ჯიშთმა გადაჭრა. მის გაღმა ისევ ლოდნაყარი წამოიმართა, მაგრამ თოვლს თითქოს შეეკრა, მიეჭედა ფერდზე და ისეთი საშიში არ ჩანდა.

მცირე ხნით შეისვენეს. გაოფლილი პერანგი ტანზე ეწებებოდა, ხეობიდან კი სუსხიანი ქარი ამოდიოდა და თამუნიას შესცივდა.

„წავიდეთ!"

„არ დაიღალე?"

„ჰო, მაგრამ წავიდეთ!"

ჯიშთი გადაიარეს და ისევ ლოდნაყარს მიადგნენ. თოვლში ჩაჭედილი ლოდები სიმყარის გრძნობას ბადებდა.

მზემ თანდათან აიწია, მთელი ხეობა აავსო. დონღუზ-ორუნის ტბაში ჩავარდა და შაბიამნისფერი წყალი ოქროს ზოლმა გადაჭრა.

ამ სიმაღლიდან კარგად ჩანდა „ჩრდილოეთის თავშესაფარი". იქიდან პაწია ჯგუფებად მოემართებოდნენ დაგვიანებული „ველურები".

წინ წასული ტურისტები კი, ერთხანობას, ზეკარზე ასანთის ჩხირებსა ჰგავდნენ და მერე გაქრნენ, გაღმა ხეობაში გადაეშვნენ.

ლოდნაყარი გათავდა. მამა-შვილსა და ზეკარს შორის მყინვარის ვრცელი, მკვეთრად დაქანებული ველი გადაიშალა. მზის სხივები თანაბრად ეფინებოდა ველს, აბრჭყვიალებდა, უამრავი ათინათი იპნეოდა გრილ ჰაერში.

იმ ათინათებში სწრაფად და უხმოდ მიფარფატებდა დიდი და გამჭვირვალე პეპელა, — თამუნიას დედა.

„აქ შევისვენოთ, — ველის კიდეზე გაჩერდა მამა, — დაიღალე?"

თამუნიამ თავი ყოყმანით გააქნია, თუმცა არაქათი გამოეცალა, მუხლები სტკიოდა.

„გეშინია?"

თამუნიამ თავი კვლავ გააქნია.

„ჩემი ყოჩაღი გოგო ხარ", — მამამ ცივი ჩაი დაუსხა. წინათ იტყოდა „ჩვენი ყოჩაღი გოგო ხარო". ახლა კი მამამ თქვა: „ჩემიო".

თამუნია უხმოდ დაეთანხმა.

„იცი რა, შენ აქ დამელოდე, თან დაისვენებ, მე კი ზეკარზე ზურგჩანთას ავიტან და მოვბრუნდები".

თამუნიას ხმა არ ამოუღია, არც თანხმობა უთქვამს, არც შეხვეწნია, მარტო ნუ დამტოვებო.

მამა ყინულის ველზე შედგა და ფრთხილად მიჰყვა ტურისტების ნაკვალევს.

დიდხანს გაჰყურებდა თამუნია. ჯერ მარტო მამის ფეხებს მისჩერებოდა. მამა შიშნარევი სიფრთხილით ირჩევდა ყოველ ნაბიჯს. ამოწმებდა, მყარად იდგა თუ არა ნაფეხურზე. მერეღა ადგამდა მომდევნო ნაბიჯს. საკ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მარისი იყო დასცდენოდა, ხეობის ძირში დახვავებულ ლოდებამდე თავს ვერაფრით შეიკავებდა. მამის გამოსახულება თანდათან შემცირდა თეთრ სივრცეში, დაპატარავდა, შავ ლაქას დაემსგავსა. თამუნიას ეჩვენებოდა; რომ მამა ოდნავ-ღა მიცოცავდა. ან, იქნებ, ვერც წინ მიიწევდა და ვერც უკან მობრუნდებოდა. გულგახეთქილი გოგონა ადგილზე წრიალებდა და ჩურჩულით იმეორებდა: „მამა, მამა, მამა...“

არ იცოდა, რამდენი დრო გავიდა. ალბათ მთელმა წელიწადმა გაირბინა მას შემდეგ, რაც მამამ ველის კიდეზე დატოვა. მალე ღამეც მოაწევდა და ვრცელი ყინულეთი სამუდამოდ დააშორებდა მამა-შვილს.

ჩუმი შრიალი მაშინღა გაიგონა, როცა მამა მთლად მუშტისტოლა გახდა. და ის პაწია ლაქა აქედან ისე ჩანდა, როგორც შავი პეპელა თეთრ ქაღალდზე... უკან მოიხედა. ეგონა ლოდებში შრიალებდა რაღაც. მიხვდა, ყინულის ველიდან მოისმოდა ჩუმი შრიალი, წკანწკარი, რაკრაკი, ჩხრიალი... თითქოს გაცოცხლდა ყინულის ველი, ადგილიდან დაიძრა, იქნებ აპირებდა მღვრიე მდინარედ, ან თოვლის ზვავად გადაქცევას... დაქანდებოდა მთელი ველი, ჩაგრიალდებოდა ხეობაში და თამუნია ვერასდროს გაიგნებდა გზას მამისაკენ, რომელიც დედის უხილავმა ნაფეხურებმა ამ მთებში შეიტყუა.

„მამა-ა!..“ — იწივლა თამუნიამ და გაიქცა... მირბოდა მამის ნაკვალევზე, ეცემოდა, მაგრამ ისევ დგებოდა და მირბოდა...

მყინვარის ზედაპირი გაელხვო მზეს. წყალი მოწანწკარებდა, მოჩხრიალებდა, ნაკადულებად იქცეოდა... წუხელ თოვლს თხელი ფენა დაედო და ახლა გალხობილი თოვლი შრიალ-შრიალით მოდიოდა დაღმა... ალაგ-ალაგ ვიწრო, ცისფერი ნაპრალები იტოტებოდა და იქიდან საშიში დგაფუნი ისმოდა.

„მამა-ა!...“ — წიოდა პატარა და მირბოდა, რათა კვლავ გაენასკვა ერთადერთი ძაფი, რომელიც მამასთან აკავშირებდა...

წაიფორხილა... წონასწორობა ძლივს შეინარჩუნა, ისევ წაიფორხილა... კინაღამ ასცდა მამის ნაფეხურს, კინაღამ დასრიალდა შორეული უფსკრულისაკენ, მაგრამ უჩინარი, თბილი ხელი მიჰყვებოდა თან, რბილად უბიძგებდა, გზაზე აყენებდა...

რამდენი ხანი გაგრძელდა თამუნია ნიჟარაძის ჭიდილი ყინულიან ველთან. ვიწრო ბილიკზე რამდენჯერ ჩაუსაფრდა სიკვდილი, თუმცა თამუნიამ რა იცოდა სიკვდილისა!

უცბად მის წინ მამა წამოიმართა, ხელში აიტაცა და წასჩურჩულა:

„ ჩუმად, ჩემო გოგო“.

კაცს სახე შეშლოდა, თვალებში უსაზღვრო შიში და ძრწოლა ჩასახლებოდა.

ხელში ატატებული გაატარა ველი, რომელიც უკვე შეწყობილი ხმით გუგუნებდა, როგორც უთვალავი ინსტრუმენტისაგან შედგენილი ორკესტრი.

ზეკარის მისადგომთან, იქ, სადაც ყინულის ველი თავდებოდა, ბავშვი მიწაზე დასვა და თვითონაც ჩაჯდა, მუხლებმა უმტყუნა.

„ როგორ შემაშინე“, — საყვედურის გარეშე უთხრა.

თამუნია კისერზე შემოეჭდო: „მეც შემეშინდა, მეგონა მტოვებდი!“

ხელიხელჩაკიდებულნი ავიდნენ ბოლო, ათიოდე მეტრის სიმაღლის ფერდზე.

მერე დიდხანს იდგნენ ვიწრო, უნაგირა ზეკარზე, რომელსაც გვერდებიდან დარაჯობდა პირწამახული, კოშკურა კლდეები. ზურგიდან ჩრდილოეთის ცივი ქარი უბერავდა. სამხრეთის კალთა კი თავბრუდამხვევი სისწრაფით ეშვებოდა ნაკრის ხეობისაკენ...

* * *

მესამე დღეს მამა და შვილი ზღვაზე იყვნენ, სოხუმში. თამუნიას აქამდე არასოდეს ენახა ზღვა. მამამ დილაადრიან, ჯერაც ცარიელ პლაჟზე მოიყვანა. დიდხანს მისჩერებოდა თამუნია უზარმაზარ, ცის კიდემდე გადაჭიმულ სივრცეს. თითქოს ცოცხალი არსება გაწოლილიყო ფერხთით, დინჯად მიმოიქცეოდა, ყრუდ ოხრავდა, ტალღას ტალღაზე აგორებდა, ზედაპირი თეთრად ექერცლებოდა...

აქა-იქ თეთრი თოლიები დაცურავდნენ და ამაოდ ეძებდნენ რაღაცას, სამუდამოდ დაკარგულს...

ძნელი იყო ამ ცისქვეშეთში ერთხელ დაკარგული ნაკვალევის პოვნა.

თამუნიამ თითი გაიშვირა ზღვისაკენ, რომლის ლურჯ სიღრმეებში ათასი ლანდი დაძრწოდა:

„დედიკოც იქ წავიდა!“



# ბელა ახმადულინა

## ჩვენი მეგობრები

ცნობილ რუს პოეტ ქალს — ბელა ახმადულინას მრავალი თაყვანისმცემელი ჰყავს საქართველოში. მისი პოეზია გულით შეიყვარა ქართველმა მკითხველმა. ამაში წილი თავად ბელა ახმადულინასაც უდევს — მან ბევრი მშვენიერი ლექსით უმღერა საქართველოს, მის ხალხს, აქაურ მეგობრებს, მწერლებს: საქართველოს ბელა ახმადულინა თავის მეორე სამშობლოს უწოდებს, და ამ სამშობლოში მას მუდამ მოუხარია, რადგან აქ ფაქიზი, დახვეწილი გემოვნების მკითხველი ხვდება. შარშან, დეკემბერში ბელა ახმადულინა ორჯერ შეხვდა თავის ქართველ მკითხველს ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში. და ეს ორი საღამო ჭეშმარიტი პოეზიის საღამოდ, ხალხთა მეგობრობის საღამოდ იქცა. ბელა ახმადულინამ ჩვეული ოსტატობით წაიკითხა საქართველოსადმი მიძღვნილი თავისი ლექსები, გაგვაცნო ქართული პოეზიის ნიმუშების თავისი თარგმანები. მადლობის მეტი რა გვეთქმის პოეტი ქალისადმი, რომელიც ასე ღირსეულად აგრძელებს რუსი და ქართველი ხალხების ლიტერატურული ურთიერთობის დიდ ტრადიციას!

ეროვნული ბიბლიოთეკა

**ნოდარ ჯალაღონია**

## წიგნი

როცა ირკუტსკში დიდი სამამულო ომის მონაწილეთა ძეგლს ვათვალიერებდი, ერთმა უცხოელმა ტურისტმა ნიშნისმოგებით განაცხადა, რომ მის სამშობლოში გამოცემულია წიგნი, სადაც შეტანილია ყველა იმ 100 ათასი მისი თანამემამულის გვარი და სახელი, რომლებიც ომში დაიღუპნენ.

არ დაგვიწყნია უცხოელო ჩვენ არაფერი,
და არც არავინ,
ქვეყნის სახელს
ვინც შეეწირა.
იმ ვაჟკაცების გვარიცა და მათი სახელიც
ყველამ ლექსივით ვიცით ზეპირად.

დიახ, წიგნიც გვაქვს, და ეს წიგნი ხალხია ჩვენი.
თქვენც წაიკითხავთ, ალბათ ამ წიგნს, ადრე თუ გვიან.
დაწერილია იგი ცრემლით, სისხლით და ცრემლით,
და მას საბჭოთა ქვეყანა ჰქვია.
იმ ომის დღეებს ჩვენთვის ჯერაც არ გაუვლია,
ისევ აქ არის
საშინელი
და ფერუცვლელი.
ოცი მილიონ მგლოვიარე დედის გულია
იმ დაუწერელ წიგნის ფურცელი.

არ იყო ჩვენთვის არც სიზმარი და არც მირაჟი,
არც დავიწყება არის ჩვენთვის
მისი
იოლი.
დიახ,
გვაქვს წიგნი
და არის
ამ წიგნის
ტირაჟი
250 მილიონი.

10 ივლისი 1976 წ.
ნია-გრუზინსკაია

**ტარიელ ხარხელაური**

## პირველი თოვლი

ღამე ჩაიქცა მთებში ზაქივით
და უფსკრულების შეჰკრა იარა,
ჭიუხებს შესძრავს ჭოტის ძახილი...
ქედები ძრწოლვით გადაიარა
ნისლმა და
ქარი ატირდა სადღაც,
კლდე გამოქარულს იბანდა უბეს
და კალმახივით ხტებოდა ტალღა
და არწივები ეძებდნენ ბუდეს.
ჩამოდიოდა ნადირი დაბლა,
დრო მომქანცველი ფიქრებს ღალავდა,
მთას ერთ ღამეში დაეტყო დაღლა,
მთა ერთ ღამეში გაჭაღარავდა...

* * *

შევუნარჩუნოთ ამ მთებს სინედლე,
ჩემო იმედავ, ჩემო თოლიგევ,
სოფელს ასე ნუ გამოვიმეტებთ —
ჩვენს შემდეგ სხვები უნდა მოვიდნენ.
ნუ ააშამბებთ პაპათა საფლავს,
ნუ აცრემლებთ ბუხარს ნესტიანს,
ფეხს ნუ დაადგამთ გათელილ თავთავს
და წინაპრების ბეჭებს მეტრიანს.
მერე ხომ იცით, ვილაცა მოვა,
მოვლენ ბიჭებო და მას გვეტყვიან:
თქვე ბედშავებო, რით ვერ გაიგეთ,
როგორ არ გესმით კარგი და ავი,
სანამდის წახვალთ, ზღურბლზე დამიდეთ
და ბლაგვი ცულით მომჭერით თავი
თუ კიდევ ერთხელ გაგიწყრეთ ღმერთი,
გამოეკეტოს ჩემს სოფელს კარი.

* * *

შეიბრძოლნენ...
შეესისხლნენ...
და იმარჯვა განთიადმა; ღამე ზურგზე გააბრტყელა,
მზე გადმოდგა, გაიბარჯღა,
რომ სთქვას კაცმა,
ერთი ზორბად ჩაახველა
და გათენდა...
ქარი ნელა, ნელა, ნელა
ივრისპირზე დაყრილ ნისლებს დაერია,
ფუ, შეგირცხვეს...
რა სურათი გაანელა,
სულს უნდოდა, ეს სილურჯე დაელია;
მაგრამ მორჩა
და გათავდა ყველაფერი.
არც სიბნელე, მხოლოდ სხივთა ელვარება,
რაღაც სულ სხვა სიდიადით შენაფერი,
ამ ვეება დედამიწის მღელვარება გადამედო,
ავღელდი და ავბობოქრდი,
გავეკიდე ქარს, საყელო მივაგლიჯე,
მუხლის კვირტებს გადავუსვი მიწის ოფლი,
მზესთან ერთად მთებზე ნელა მივაბიჯებ...

## გაცილება

რას დუდუნებენ ჭალის პირას ბებერი იფნები
ფესვებდაკორძილნი,
კანდამსკდარნი,
საით, რად მიდიან ეს ნისლები ქარდაქარა,
ლეგა ულაყებზე გადამსხდარნი...
მთვარე ამოწეულა შუბის ტარზე,
ხევს დაჰყურებს,
უკვირს...
რა დღეობა აქვთო გოლიათებს!
ხელში ატრიალებენ შავი ჩრდილების
მსხვილ შამფურებს,
დღეს წვეულება ჰქონიათ მთებს...
მაღლა ქარაფებზე მხარ-თეძოზე წამოწოლილან
ღრუბლები,
და კლდეებს ცივი წვეთები ამძიმებენ,
ხელისგულით აუწევია მყინვარს შემოდგომა,
მთები აცილებენ...

# ჟურნალ „ტეხნიკა-მოლოდიოჟის“ ფურცლებზე




დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-60 წლისთავის გამო საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის საზოგადოებრივ-პოლიტიკურმა, სამეცნიერო-მხატვრულმა და საწარმოო ჟურნალმა **„ტეხნიკა-მოლოდიოჟიმ“** შარშანდელი უკანასკნელი თვის — დეკემბრის ნომერი საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკას მიუძღვნა.

ჟურნალი იხსნება საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის **ედუარდ შევარდნაძის** წერილით — **„თაობის ოპტიმიზმი“**. მასში ვრცლად და საინტერესოდ არის ასახული კომუნისტური მომავლის, ჩვენი ხვალინდელი დღის მშენებელი ახალგაზრდობის სასახელო საქმეები, ღრმად არის გაშუქებული ის დიდი ამოცანები, რომლებიც მათ წინაშე სკკპ XXV ყრილობამ დააყენა.

**„ჩვენი საუკუნე, მეოცე საუკუნეა — ჭეშმარიტად ყველაზე არაჩვეულებრივი და მრავალმხრივი საუკუნე,** — ვკითხულობთ ამხ. ე. შევარდნაძის წერილში, — **მას ახასიათებს მაღალი სიჩქარეები და დიდი სირთულეები, აზრის განსაცვიფრებელი გაბედულება, მეცნიერულ მიღწევათა სითამამე. მეცნიერების სხვადასხვა სფეროში აღმოჩენების ფანტასტურობას მთელი ეპოქით მივყავართ წინ, ჩვენი მოძრაობა კი მუდმივია, რაკი ასე უსაზღვროა ადამიანის შესაძლებლობანი. ეს უსაზღვროება კი ყველაზე ნათლად ვლინდება ჩვენი სოციალისტური წყობის დროს, იმ ერთადერთი წყობის დროს, რომელიც განსაზღვრავს ადამიანის უნარის ჰარმონიულ განვითარებას... საბჭოთა საქართველოს დღევანდელი ახალგაზრდა თაობისათვის მახლობელია ლტოლვა, ძიება, დაუოკებელი წინსვლა. ჩვენი ახალგაზრდობა კომუნისტური მშენებლობის ყველაზე პასუხსაგებ უბანზე დგას, მას ესმის, რომ კომუნისტური მშენებლობის დიადი გეგმების განხორციელების საწინდარია საზოგადოების თითოეული წევრის სწრაფვა — დღეს იმუშაოს უკეთ, ვიდრე გუშინ; ამის საწინდარია საკუთარი პოლიტიკური, ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიული დონის მუდმივი სრულყოფა.**

**დღეს, მკერდზე კომკავშირის სამკერდე ნიშნით, სიცოცხლეს იმკვიდრებს ხვალინდელი დღე, ჩვენი მომავალი“** .

ჟურნალში გამოქვეყნებულია საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის **ჟ. შარტავას** წერილი **„აღმოაჩინე შენი ვარსკვლავი“**, რომელშიც ავტორი მკითხველებს ესაუბრება საქართველოს მეცნიერებისა და ტექნიკის ახალგაზრდა წარმომადგენლების სასახელო საქმეებზე, იმ წვლილზე, რომელიც მათ რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის, მეცნიერული კვლევა-ძიების, განათლების განვითარებაში შეაქვთ.

ჟურნალში ბევრი საინტერესო მასალაა, რომლებშიც ვრცლად არის ასახული ჩვენი რესპუბლიკის ახალგაზრდობის მიღწევები, მათი მისწრაფებები, საქართველოს მეცნიერებისა და ტექნიკის ბრწყინვალე დღევანდელობა, მდიდარი ისტორია და ნათელი პერსპექტივები. მკითხველს დააინტერესებს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის **ი. ვეკუას** წერილი **„ღირსეული წვლილი“**, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის **გ. ციციშვილისა** და ქიმიის მეცნიერებათა დოქტორის **თ. ანდრონიკაშვილის — „ცეოლიტ-მოლეკულური „საცერი“**, საწარმოო გაერთიანება „საქნავთობის“ მთავარი გეოლოგის **ა. ლალიევის** საუბარი **„საქართველოს „შავი ოქრო“**, საქართველოს მებაღეობის, მევენახეობისა და მეღვინეობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორის **ნ. ჩხარტიშვილის** წერილი **„ვაზის მარადიული საიდუმლო“**. ჟურნალში გამოქვეყნებულია ნარკვევები ენგურჰესის ახალგაზრდა მშენებლებზე, მეტრომშენებლებზე, ლენინური კომკავშირის პრემიის ლაურეატების შემოქმედებითი შრომის შესახებ.

საქართველოს უძველეს ისტორიულ წარსულს აცნობს მკითხველებს ჟურნალის მთავარი რედაქტორის **ვ. ზახარჩენკოს** ნარკვევი **„საუკუნეთა მძლავრი ლურსმული დამწერლობა“** — ვარძიაზე; ინჟინერ **შ. ხვედელიძის — „3479 და კიდევ ნახევარი წელიწადი“** — უძველესი ქართული დამწერლობის სათავეების ძიების თაობაზე. დაბეჭდილია აგრეთვე **ნოდარ ხვედელიძისა და ემენ დავითაძის** ლექსები.

ჟურნალში გამოქვეყნებულია მასალები ჩვენი სახელგანთქმული ქალების შესახებ. ავტორები მკითხველებს მოუთხრობენ ჭადრაკის ხუთგზის მსოფლიო ჩემპიონის ნონა გაფრინდაშვილის, გამოჩენილი მეცნიერის ქსენია ბახტაძის, ორგზის სოციალისტური შრომის გმირის თამარ ყუფუნიას, ზუგდიდის ჩაის გადამწონი ფაბრიკის საამქროს უფროსის მზია ქვარცხავას, საქართველოს ლენინური კომკავშირის პრემიის ლაურეატის ალა ბაგრამოვას, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქიმიის ფაკულტეტის დეკანის მოადგილის ლიანა ნაკაიძის და სხვათა შესახებ.

ჟურნალის ამ მეტად საინტერესო ნომერში მკითხველი მრავალფეროვან საყურადღებო მასალებს გაეცნობა საქართველოს ახალგაზრდობაზე. იგი დიდი გემოვნებით არის ილუსტრირებული მხატვრებისა და ფოტოჟურნალისტთა მიერ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



# ზინა კვერენჩხილაძე

თავიდან არავის შეუნიშნავს მისი განსაკუთრებული მონაცემები, არც გამორჩეული გარეგნობით მოუხიბლავს ვინმე... ყველასათვის შეუმჩნევლად მოექცა რთულსა და წინააღმდეგობებით აღსავსე სამყაროში. ვინ იფიქრებდა, რომ ეს საოცრად მორიდებული, შავგვრემანი, ზომაზე მეტად გამხდარი გოგონა ქართული თეატრის მშვენება გახდებოდა.

1957 წელს სახელგანთქმული რუსთაველის თეატრის სცენაზე შედგა ზინა კვერენჩხილაძის დებიუტი. ეს იყო სლავკას როლი ბრანისლავ ნუშიჩის „ფილოსოფიის დოქტორში“ (რეჟ. მ. თუმანიშვილი).

გადიოდა დრო. აძლევდნენ ეპიზოდურ, ზოგჯერ უმნიშვნელო როლებს. იგი ბედს მიენდო, თითქოს იმ დღეს ელოდა, როცა იფეთქებდა მის არსებაში დაგუბებული არტისტული ვნება, დაუოკებელი ტემპერამენტი.

დ. გაჩეჩილაძის „ბახტრიონში“ (რეჟ. დ. ალექსიძე) ახალგაზრდა მსახიობი მესამე შემადგენლობაში დანიშნეს, სულ მალე კი იგი ლელას შეუცვლელ შემსრულებლად აღიარეს.

იშვიათი სიწმინდით იყო აღსავსე ზინა კვერენჩხილაძის თამაში. მისი „კლდით მხტომი, გავაზივით მოქნეული“ ლელა აღმოჩენად იქცა ქართული თეატრისათვის. განსაცვიფრებელი პლასტიკა, ლირიზმით აღსავსე ხმა, გულის სიღრმიდან ამომსკდარი თითოეული სიტყვა წარუშლელ შთაბეჭდილებას ახდენდა მაყურებელზე. სწორედ ლელათი დაიწყო ახალგაზრდა მსახიობის საინტერესო შემოქმედებითი გზა, სწორედ ეს იყო მისი ნამდვილი თეატრალური ნათლობა.

მსახიობის შემოქმედებითი ცხოვრება დაამშვენა ელიზაბეტ პროქტორის სახემ (მილერის „სეილემის პროცესი“, რეჟ. რ. სტურუა). კვერენჩხილაძის ელიზაბეტი გარეგნულად მომხიბვლელია. კიდევ უფრო საინტერესოდ გაგვაცნო ახალგაზრდა მსახიობმა ჯონ პროქტორის მეუღლის შინაგანი სამყარო. გარეგნულ სიმშვიდესთან ერთად კვერენჩხილაძემ სახის ღრმა ფსიქოლოგიური ანალიზის უნარი გამოამჟღავნა.

შთამბეჭდავი და დაუვიწყარი იყო ელიზაბეტისა და ჯონ პროქტორის (ე. მაღალაშვილი) უკანასკნელი შეხვედრის სცენა საპატიმროში, რომელსაც იშვიათი კდემამოსილებითა და თავშეკავებული ტემპერამენტით ატარებდა მსახიობი. მილერის პერსონაჟი ქალის სახის ჩვენებით გამოამჟღავნა ზინა კვერენჩხილაძემ არაჩვეულებრივი უშუალობა, გრძნობათა სიწრფელე, დახვეწილი ლირიზმი, რითაც თვით პიესის ავტორიც კი აღაფრთოვანა.

როლიდან როლამდე იხვეწებოდა და ყალიბდებოდა კვერენჩხილაძის სამსახიობო ოსტატობა, სულ უფრო და უფრო საინტერესო ხდებოდა მსახიობის შემოქმედებითი ცხოვრება. დაუზარელი შრომის შედეგად იქმნებოდა ერთმანეთისაგან განსხვავებული, სხვადასხვა ხასიათის როლები.

„თანდათანობით გამოიკვეთა და გაირკვა ზ. კვერენჩხილაძის არტისტული პროფილი, იგი ლირიკულ-დრამატული როლებიდან ტრაგედიისაკენ გადაიხარა“ (ვ. კიკნაძე). ლეგენდარული ლელა განუმეორებელ ანტიგონედ, გრძნობადაუოკებელ ფედრად, მებრძოლ მედეად, მომხილვლელ ზეინაბად იქცა. თეატრში მოღვაწეობის 18 სეზონის განმავლობაში ზინა კვერენჩხილაძემ ისეთი რეპერტუარი შეიქმნა, რომელიც ყოველი დიდი აქტიორის შემოქმედებას დაამშვენებდა.

კვერენჩხილაძის ლირიკულ-დრამატულიდან ტრაგიკულ მსახიობად ჩამოყალიბებაში უთუოდ მნიშვნელოვან ადგილს იკავებს აშექალას განსახიერება (კ. გამსახურდიას „ხოგაის მინდია“, რეჟ. გ. ჟორდანია).

აშექალა — კვერენჩხილაძე ნამდვილად მთის ქალწულია, შველივით მოქნილი და მომხიბვლელი. მშობლიურ მთებს მოწყვეტილი მინდიას დაბრუნება უდიდეს ძალას მატებს მას, ოცნებით წარმოიდგენს მომავალ ბედნიერებას. ამ დროს შეიტყობს საზარელ სიმართლეს — მინდიასა და ხადიშათს ერთმანეთი უყვართ! მეშვიდე ციდან ძირს სასიკვდილოდ დანარცხებულს ჰგავს კვერენჩხილაძის გმირი. იწყება აშექალას გამაოგნებელი ცეკვა... შერწყმული სიმღერა-გოდებასთან.

ანტიგონემ, ფედრამ, მედეამ, ზეინაბმა უფრო გააფართოვა მასშტაბი მსახიობის შესაძლებლობისა. ზინა კვერენჩხილაძე ბევრჯერ, ძალიან ბევრჯერ გვინახავს სცენაზე მართალი და ოსტატური, მაგრამ ეს ოთხეული მისი მდიდარი შემოქმედების მშვენებაა — მსახიობს ხელეწიფება ძლიერი ნებისყოფის ქალთა სამყაროს წარმოდგენა.

მიხეილ თუმანიშვილის მიერ 1968 წელს დადგმული ჟან ანუის „ანტიგონე“ მნიშვნელოვან მოვლენად იქცა ბოლო წლების ქართული თეატრის ისტორიაში. რეჟისორმა ფრანგული ინტელექტუალური თეატრის პრინციპები ორგანულად შეუთავსა ქართული რომანტიკული თეატრის ტრადიციებს. თუმანიშვილმა ისე აამოქმედა მსახიობები, რომ „ადამიანთა განცდების ყველაზე დაფარულ ხვეულებშიც კი ჩაგვახედა“ (ნ. შალუტაშვილი). ღირსეული პარტნიორები იდგნენ სცენაზე: სერგო ზაქარიაძე — კრეონტი და ზინა კვერენჩხილაძე — ანტიგონე!

თავბრუდამხვევი სისწრაფით შემორბის სცენაზე ანტიგონე-კვერენჩხილაძე, თითქოს სურს, მაყურებელსაც გადასდოს თავისი სიხარული. იგი კრეონტის ბრძანებას არ დაემორჩილა და მიწა მიაყარა ძმის ცხედარს!.. ანტიგონე სიკვდილით უნდა დაისაჯოს! ანტიგონე — კვერენჩხილაძე ბავშვური პირდაპირობით ემშვიდობება ძიძას, ჰემონს და სიკვდილისათვის ემზადება.

შეუდარებელია მსახიობი კრეონტთან პაექრობის, უფრო სწორად, ბრძოლის სცენაში. იგი უარყოფს ბედნიერების კრეონტისეულ გაგებას, არ თვალთმაქცობს, რათა საკუთარი პაწაწინა ბედნიერება მოიპოვოს. მას ყველაფერი ახლავე სურს, თუ არა და, მზად არის მოკვდეს.

კვერენჩხილაძის ჭეშმარიტად არტისტულმა თვისებებმა — ტრაგიზმით აღსავსე ძლიერმა ხმამ, დახვეწილმა მეტყველებამ, ზღვასავით მოვარდნილმა ტემპერამენტმა, შესაშურმა პლასტიკამ, დიდმა ტრაგიკულმა ძალამ, გრძნობათა სიწრფელემ და ნამდვილმა პროფესიონალიზმმა — სრულყოფილად იჩინა თავი ანტიგონეს სახის შექმნისას.

შესაძლოა ზინა კვერენჩხილაძემ მეტ-ნაკლები სიძლიერით ითამაშოს ესა თუ ის სახე, მაგრამ სცენაზე ყოველთვის მართალი მსახიობი დგას, რომელიც მაყურებელსაც განაცდევინებს თავისი გმირის ბედს.

გავიხსენოთ რასინის „ფედრა“, საკუთარ გრძნობებთან მებრძოლი, სიკვდილის შემდეგაც გამარჯვებული ქალი.

ფედრა ერიდება იპოლიტთან დაფარული გრძნობის გამომჟღავნებას. მაგრამ საკმარისია მინოსის ასული პირისპირ დარჩეს მასთან, რომ მისმა „გრძნობამ დაარღვიოს ყველა ჯებირი და გამარჯვებულს გაუმჟღავნოს თვისი შერცხვენა“. ჩვენს წინაშეა ვნებააშლილი, მოვალეობადავიწყებული დედოფალი. შერცხვენილი, უარყოფილი და შეგინებული ფედრა-კვერენჩხილაძე თვითმკვლელობით ამთავრებს სიცოცხლეს.

1971 წელს ზ. კვერენჩხილაძე კვლავ შეხვდა ჟან ანუის, ამჯერად მთავარი როლი ითამაშა რობერტ სტურუას მიერ განხორციელებულ „მედეაში“.

სამშობლოდაკარგულ და სიყვარულწართმეულ მედეას კრეონტი კორინთელების სამეფოს დატოვებას უბრძანებს...

იაზონთან უკანასკნელი შეხვედრისას მედეას ერთხელ კიდევ აღეძვრება ქალწულებრივი ვნება. მერე კი უკვალოდ ჩაქრება და, ჩაიფერფლება. ყველაფერი დასრულდა და მასაც არაფერი დარჩენია, საზარელი გადაწყვეტილების მიღების გარდა. არა. ამ ქვეყანაში, ამ ადამიანებთან ვერ დატოვებს დედა თავის შვილებს...

გამძვინვარებულ ვეფხვს ემსგავსება მარტოდ დარჩენილი მედეა—კვერენჩხილაძე...

მედეას სახით ზ. კვერენჩხილაძემ პლასტიკური, ექსპრესიული, აქტიორული მიგნებებით სავსე სახე შექმნა. მთელი სპექტაკლის მანძილზე ჩვენს წინაშე ბობოქრობს ჭეშმარიტი ხელოვანი.

სუმბათაშვილის „ღალატში“ (რეჟ. რ. სტურუა) ტრაგიკული ძალისა და დიდი ტემპერამენტის მსახიობმა საკუთარი შესაძლებლობები არტახებში მოაქცია და მიუსადაგა სპექტაკლის გადაწყვეტის ახლებურ ფორმას. კვერენჩხილაძემ ზეინაბი მთლიანად გაათავისუფლა გარეგნული ეფექტებისაგან და დიდი შინაგანი ძალით, დაწნეხილი სულიერი მღელვარებით დაგვიხატა გაორებული დედოფლის სახე, თავშეკავებული, დედოფლური ზვიადობით მიგვახვედრა გათელილი და შეურაცხყოფილი თამარის ტრაგედიას. კვერენჩხილაძის გმირს ერთადერთი მიზანი ამოძრავებს — შური იძიოს სოლეიმან-ხანზე, დატანჯულ საქართველოს დაუბრუნოს თავისუფლება, თვითონ კი აღიდგინოს წართმეული ღირსება და პატიოსნება.

სულ ახლახან მსახიობმა განასახიერა ანტიკური გმირი იოკასტე (სოფოკლეს „ოიდიპოს მეფე“ რეჟ. თ. ჩხეიძე). ზინა კვერენჩხილაძემ ამჯერადაც დაგვატყვევა მართალი თამაშით. მსახიობმა კიდევ უფრო მეტი მნიშვნელობა შემატა ანტიკური გმირი ქალის სახეს, შთამბეჭდავად გვიჩვენა ტანჯული დედოფლის შემზარავი ცხოვრება.

ზინა კვერენჩხილაძე თითქმის ამოუწურავი აქტიორული შესაძლებლობებით გამორჩეულ ადგილს იჭერს თანამედროვე ქართულ თეატრში. მისი ნიჭით აღტაცებული გერმანელი კრიტიკოსები წერდნენ: „ასეთი ტრაგიკული ძალის მსახიობი ჩვენ არ გვინახავს“, ხოლო პოლონელმა მაყურებელმა ზინას „უმაღლესი კლასის ტრაგიკული მსახიობის“ ეპითეტი უძღვნა.

მსახიობისათვის არ არსებობს რიგითი სპექტაკლები. იგი ყოველ წარმოდგენას თითქოს საკუთარი სიცოცხლის ნაწილს ატანს, იფერფლება გმირის ცხოვრებით. ახლახანს ზინა კვერენჩხილაძეს საქართველოს სსრ სახალხო არტისტის წოდება მიანიჭეს... მსახიობი თავისი იშვიათი ნიჭის აყვავების პერიოდში იმყოფება, მას ახალი, საინტერესო როლები ელის. ვუსურვოთ კვერენჩხილაძეს, ხორცი შეასხას ბერძნული ტრაგედიის, შექსპირის, იბსენის, ჩეხოვის გმირებს, ახალ ამპლუაშიც სცადოს ძალა, გვიჩვენოს ჩვენი თანამედროვე გმირის ცხოვრება.

**თამაზ რევია**



ეროვნული ბიბლიოთეკა



მწერლები: კონსტანტინე სიმონოვი და რევაზ მარგიანი სვანეთში

# მღერალი რედაქციაში

შესრულდა გამოჩენილი ქართველი პოეტის — რევაზ მარგიანის დაბადების მე-60 წლისთავი. თავისუფლად შეიძლება ითქვას, რომ პოეტი საბჭოთა ეპოქის თანატოლია და რევაზ მარგიანის შემოქმედებაც ამ ეპოქის ერთიანი ჰიმნია. ადრეული ლირიკული ლექსებიდან დაწყებული, თუნდაც იმ ლექსით გათავებული, რომელიც ჩვენს რედაქციაში მოიტანა („კვლავ არ მცალია დასამშვიდებლად") რევაზ მარგიანი სისხლსავსე პოეტური ცხოვრებით ცხოვრობს, მის შემოქმედებაში იგრძნობა მაჯისცემა დღევანდელობისა. პოეტი-მოქალაქე! — რევაზ მარგიანი ამართლებს ამ ღირსეულ წოდებას.

ჟურნალ „საქართველოს ქალის" რედაქციამ რევაზ მარგიანი თავის მრავალ მაგიდასთან მოიწვია, და გულით მიულოცა 60 წელი, უსურვა დღეგრძელობა და ახალ-ახალი შემოქმედებითი გამარჯვებები. საინტერესო იყო პოეტთან საუბარი. მან გაიხსენა ომის წლები, რომლებმაც ლექსების მთელი ციკლი შთააგონა, გვიამბო ფრონტული ეპიზოდები, გვესაუბრა მშობლიურ სვანეთზე, ბავშვობაზე, ილაპარაკა იმ მეგობრობაზე, რომელიც ასე აკავშირებს გამოჩენილ საბჭოთა მწერლებთან... მისი ბოლოდროინდელი ლექსების რკალი ერთხელ კიდევ ადასტურებს, რომ 60 წელი მისთვის შემოქმედებითი სიმწიფის ხანაა.

დასასრულ, ვიხსენებთ მის სტრიქონებს ლექსიდან: „ბოლოთქმის მაგიერ", „შენ როგორ ფიქრობ, მერამდენე წიგნი დავხურე, რომ მომავლისთვის გადმეცა მსჯავრდასადებლად?"

ცხადია, მომავალი მადლობას ეტყვის პოეტს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რევაზ მარგიანი

## კვლავ არ მცალია დასამშვიდებლად

კვლავ არ მცალია
  დასამშვიდებლად.
რისი განცხრომა,
  რისი სიმშვიდე!
ძალთა მოკრება
  ახლა მჭირდება,
ახალი ტვირთი
  წამოვიკიდე!
გასაკაფავი
  დამრჩა ბილიკი,
პირქუში კლდე
  და ბასრი ციცაბო.
რისი სიმშვიდე!
  ახლა პირიქით
ბრძოლისთვის
  უნდა გამოვიწაფო!
რისი სიმშვიდე,
  როცა ერთგული,
ჩაუთვლემელი
  მეციხოვნე ვარ.
რადგან სულ ვფხიზლობ,
  როგორც ენგური
და ენგურივით
  დუღს ეს ცხოვრება!
ვიცი, მრავალჯერ
  გადაიწვიმებს,
ნაკადულს აქცევს
  მღელვარ ჩქერებად,
სიცხე გამთოშავს
  და ხან სიცივეც
უდაბნოს ხვატად
  მომეჩვენება.
მოვიგერიებ
  უმალ ცივ ქარებს,
ველზე, სათიბში
  და ნაპურალში.
ზამთრის დასტურად
  ალბათ იკმარებს
გადართვილილი
  ჩემი ულვაში...
კვლავ არ მცალია
  დასამშვიდებლად!
რისი განცხრომა,
  რისი სიმშვიდე!
ძალთა მოკრება
  ახლა მჭირდება,
ახალი ტვირთი
  წამოვიკიდე!

# ხიხანში

ფოტორეპორტიორმა ნიკოლოზ ანასტასიადიმ და ტელეოპერატორმა ანზორ თალაკვაძემ არ იციან, რომელი ერთი გადაიღონ, იმდენად თვალწარმტაცია ხიხაძირის ხეობის თითოეული მონაკვეთი. ყველანი მაინც ხიხანის დიდებული ციხე-სიმაგრისა და სხალთის ტაძრის ხილვით ვართ მოხიბლულნი.

ანაზდად, მოსახვევიდან მსუბუქი მანქანა „ჟიგული" გამოჩნდა. მანქანას ქალი მართავდა.

წამით ჩამოვარდნილ სიჩუმეში ერთ-ერთმა ჩვენთაგანმა იკითხა: ეს ქალი ვინ არისო. თემურ აბაშიძემ, კომკავშირის ხულოს რაიკომის მდივანმა გვითხრა:

— სხალთის საშუალო სკოლის პედაგოგია, ვარდო დიასამიძე.

მშვიდად და უბრალოდ ითქვა ეს სიტყვები. და ისევ სიჩუმე ჩამოდგა. და უცებ, საკდესის ფოტოკორესპონდენტი კოლია ანასტასიადი ალაპარაკდა, თიქოს ჩვენს შინაგან აზრთა მსვლელობას ეხმაურებოდა:

— თქვენ არ იცით, თქვენ კიდევ არ იცით, რას ნიშნავს ეს ფაქტი — თითქოსდა ჩვეულებრივი ფაქტი — საჭეს აჭარელი ქალი უზის. მე აქ დავდივარ უკვე 80 წელია, მე ძველიც მახსოვს...

არავინ ედავებოდა ბატონ კოლიას. ის კი თითქოს გვაჯერებდა, მაინც რაღაცას გვიმტკიცებდა და თან ხმაში საოცარი კმაყოფილება და სიამაყე ეტყობოდა. მე კი ამ ეპიზოდმა უნებურად გადამიყვანა ქობულეთის რაიონის სოფელ გვარაში, მემარნეების ოჯახში.

სოფელი გვარა. არა, ეს საქვეყნოდ განთქმული ხუცუბნისნაირი სოფელი არ გახლავთ, არც ბობოყვათისნაირია.

გვარა ერთი რიგითი, ჩვეულებრივი სოფელია ქობულეთის რაიონში. გულიკო ხახუტაიშვილიც, მემარნეების რძალი, ერთი მრავალთაგანია მოწინავე მეჩაიეებს შორის. ოღონდ მაინც გამორჩეულია ამ მოწინავეთაგან — ეს ახალგაზრდა ქალი შვიდი შვილის დედაა.

თავმჯდომარეც თემურ პაპუნაიშვილიც ლაპარაკობს თავის სოფელზე ისე, თითქოსდა უჩვეულო არაფერი იყოს ამ მონათხრობში. მართლაც, რა არის უჩვეულო ან გასაკვირი, თუკი ყოველ ოჯახს გაზქურა აქვს და ტელევიზორი უდგას. ახლა ტელეფონიც ექნებაო ყოველ მეორე მოსახლეს. საკუთარი მსუბუქი მანქანა კოლმეურნეების 60 პროცენტს აქვს. სოფელში ახლა 310 კომლი (1452 სული) ცხოვრობს. აქედან თითქმის ნახევარი ქალები არიან, — ღიმილით ამბობს თავმჯდომარე თემურ პაპუნაიშვილი. — ადრე 60 კომლი ცხოვრობდა გვარაში.

სოფელში არის საშუალო სკოლა, ორი საბავშვო ბაღი, კლუბი, ბიბლიოთეკა... სოფლის მეურნეობის მთავარი დარგი, რასაკვირველია, მეჩაიეობაა (90 პროცენტი), მერე მეციტრუსეობა, მეხილეობა, მებოსტნეობა, მეცხოველეობა... ორი ჩაის საკრეფი მანქანა აქვთ გვარელებს. მომავალში ხელით საკრეფ იაპონურ მანქანებს შეიძენენ. მექანიზაციას მხოლოდ 6 ჰექტარზე იყენებენ. ეს რელიეფის ბრალია. ძირითადად აქ ხელით შრომაა გამოყენებული.

აჭარაში პირველი კოლმეურნეობა გვარაში შექმნილა. თავიდან მხოლოდ ათი კომლი ყოფილა გაერთიანებული. „ტოზი" ერქვა კოლმეურნეობას. მისი პირველი დროშა ჯანაშიას სახელობის სახელმწიფო მუზეუმში ინახება თურმე. პირველი თავმჯდომარე კულაკებს მოუკლავთ.

შინმოუსვლელთა სტენდი აჭარაში პირველად გვარაში გაუკეთებიათ — ეს იყო 1963 წელს. 38 გაწვეულიდან 28 დაიღუპა ომში, ე. ი. ნახევარზე მეტი.

— ახლა ჩვენზე უკეთესი სტენდები აქვთ, ხოლო თავიდან ჩვენი სტენდის სანახავად მოდიოდნენ, — ამბობს თემურ პაპუნაიშვილი.

ჩაის პლანტაციაში ვეცნობი გულიკო ხახუტაიშვილ-მემარნეს — ახალგაზრდა, სასიამოვნო გარეგნობის ქალს, საღამოსთვის ოჯახში მინდა ვეწვიო გულიკოს, რაკილა სწორედ მრავალშვილიანი მოწინავე მეჩაიე ქალი მაინტერესებს. მრავალშვილიანი არც ისე ბევრი აღმოჩნდა სოფელში.

როცა ამაზე ჩამოვარდა ლაპარაკი სოფლის ხელმძღვანელებთან, მათ ნახევრადსერიოზულად, ნახევრადხუმრობით მითხრეს, რომ ადრე გლეხკაცი იმას დარდობდა, ამდენ შვილებს რა ვუყოო, ახლა კი ბევრ შვილს ნატრობს, მაგრამ გამჩენი აღარ არისო. მძიმეა მეჩაიის შრომა, დილიდან საღამომდე, დარსა თუ ავდარში ჩაის ბუჩქებთან ჩახრილი ქალი, წელზე გამობმული მძიმე კალათით, საშინლად იღლება, იფიტება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოჯახში კი, მოგეხსენებათ, უამრავი საქმეა ქალისათვის — მსხვილმანი თუ წვრილმანი: სადილი, ვახშამი, ქმარშვილის მოვლა, დარეცხვა, დაბანვა.

გულიკო მემარნის ნათქვამი მახსენდება:

„სტუმრები გვყავდა მოსკოვიდან, ცოლქმარი. ჩვენ შრომას რომ უყურეს, გაოცდნენ... როგორ წარმოვიდგენდით, თუ ასეთი მძიმე იყო მეჩაის შრომაო. კინოში რომ სულ სიმღერ-სიმღერით ჩაათავებენ ჩაის მწკრივებს, გვეგონა, მართლა ასე იოლად იკრიფებოდა ჩაი".

ახლაც, ამ გაგანია სიცხეში გულიკო და მისი ამხანაგები, ერთი რგოლის წევრები, თავაუღებლად შრომობენ, ეს გოგონები გულიკოს შვილები არიანო, მითხრა კოლმეურნეობის პარტორგანიზაციის მდივანმა მურმან ჩხიკვაძემ, როცა გულიკოს გამოვეთხოვეთ.

გაოცებას ვერ ვფარავ: ასე ახალგაზრდა ქალს ასეთი მოზრდილი შვილები ჰყავს და თანაც — შვიდი!

... გული მტკივა: — გამჩენი აღარ არისო... გულიკო მემარნევ, შენ როგორღა მოახერხე, შვიდი შვილის დედამ, მოწინავე მეჩაიეც ყოფილიყავი?

ჩემთვის საინტერესო ამ კითხვას ალბათ საღამოზე გავარკვევ მეთქი, ვფიქრობ გულში და საღამოს მოლოდინში ახლა მურმან ჩხიკვაძესთან ერთად სოფელს ვეცნობი.

— არც ერთი ჩვენი თანასოფლელი შემჩნეული არ არის სპეკულაციაში, რესპუბლიკის გარეთ წანწალში. ისე, ჩვენც გვყავს, რასაკვირველია, იოლი ცხოვრების მოტრფიალენი, მაგრამ გასაქანს არ ვაძლევთ, — ამბობს მურმანი, და მე მაგონდება სამი მოხუცის ამდილანდელი დიალოგი, კანტორის ეზოში რომ მოვისმინე: ჩემგან ცოტა მოშორებით ისხდნენ ისინი და ბაასობდნენ. უნებურად ყური მივუგდე მათ ლაპარაკს.

— არ უნდა მისცეს გასაქანი უსაქმურებს. აბა რაფერ ჰგონიათ? ერთმა დილიდან საღამომდის ოფლი ღვაროს. თავი მეიკლას, მეორე კი ამ დროს გულხელდაკრეფილი იჯდეს? ხომ ხედავ, თავმჯდომარის ცოლიც დანარჩენებივით მუშაობს პლანტაციაში? ასეა, ბიძია. იგი უსამართლოდ არავის მოექცევა, იმიტომ, რომ იცის მშრომელი კაცის ფასი. არავის დააჩაგვრინებს პატიოსან ადამიანს. ასეა აბა. კაცური კაცია. იმიტომაც გაძლო ამდენ ხანს. 16 წელი, ცოტა ხომ არ არის!

... საღამოზე მემარნეების ოჯახში ვარ სტუმრად.

„კი მართალია, ჩადრს ვატარებდი, მაგრამ ჩემს მომავალ მეუღლეს ნანახი ვყავდი მაინც... ქალი ეშმაკია, როცა გვინდოდა, ვითომ შემთხვევით წავკრავდით ჩადრს ხელს და სახეს გამოვაჩენდით...

როგორ ვგრძნობდი თავს ჩადრის ქვეშ? სხვანაირად ვერ წარმოგვედგინა მაშინ. წესი იყო ასეთი. პირველად ცეცხლაძის ქალმა გადააგდო ჩვენში ჩადრი. ჩვენც მივბაძეთ. უწინ ძალიან ღარიბი იყო ჩვენი სოფელი. ძაან გვიჭირდა მე და დურსუნსაც, მაგრამ ახალგაზრდები ვიყავით. დროც სხვანაირი მოგვევსწრო. მერე ბაღნებიც წამოგვეზარდნენ... ჩემი დურსუნი სამოცდაშვიდში მოგვიკვდა. არ იყო ბებერი. კიდევ შეეძლო ეცოცხლა... ახლა აი, ვზრდი ამ ბაღნებს და ქი ვარ ასე..."

შევცქერი ეხსან დავითაძის ჯერ კიდევ ლამაზ სახეს, მშვენიერ, ცისფერ თვალებს და ვერა, ვერ წარმომიდგენია იგი ჩადრით. უნებურად გადამაქვს მზერა მის რძლებზე: ნაზიზე, გულიკოზე, ნინოზე, ვერანაირად ვერ ჩამოვაფარე მათ სახეს ჩადრი. არადა, არც თუ დიდი ხნის წინანდელ ამბავს ყვება ქალბატონი ეხსანი.

ეხსანს კალთაში უზის გულიკოს ნაბოლარა ბიჭი, ბოხვერა რომანი. ირგვლივაც ბავშვები ახვევია. გაღიმებული, თვალებგაბრწყინებული ზის ბებია შვილიშვილებში. ვახშამზე თითქმის ოჯახის ყველა წევრმა მოიყარა თავი. აქ არიან გულიკო და მისი მეუღლე რეზო, ნინო და დავითი, უფროსი რძალი ნაზი და ბავშვები: თამარი, რუსუდანი, ნინო, ქეთევანი, ვახტანგი, ირაკლი, თამაზი... იმდენია, ალბათ მშობლებსაც უჭირთ მათი სახელების დამახსოვრება.

„ჩემი დედამთილი რომ არა, ვეღარ გავწვდებოდი ამდენ საქმეს... შვიდი ბაღანას მოვლა და კიდევ ჩაიში მუშაობა? მისი გაზრდილია ყველა ჩემი ბაღანა, ჩემი მაზლების ბაღნებიც..." — ამბობს გულიკო.

„ამათი რძალი რომ გავხდი. მერე ვისწავლე, უმაღლესი დავამთავრე... ჩემი დედამთილი რომ არა, აბა როგორ ვისწავლიდი, ვერც ვიმუშავებდი" — ამას მეორე რძალი — ნინო ჯინჭარაძე ამბობს.

ნინო გვარას საშუალო სკოლის სასწავლო ნაწილის გამგედ მუშაობს. ქობულეთის კომკავშირის რაიკომში მითხრეს, რომ იგი აგიტატორიც ყოფილა. ერთ-ერთი ყველაზე საქმიანი, ენერგიული და აქტიური აგიტატორიაო, ასე დაახასიათეს იგი.

ნინოს ოთხი შვილი ჰყავს — ორი ბიჭი და ორი გოგო. უფროსი მეათე კლასში სწავლობს.

ეს შენი მადლია დავითაძის ქალო, ამ ოჯახს რომ უნათებს სასიკეთოდ. სამი ძმა რომ ერთ ეზოში ასე შეხმატკბილებულად ცხოვრობს, სამივე რძალი დებივით რომ არიან ერთმანეთთან, ესეც შენი მადლია. სამივეს რომ ამდენი მონაგარი ჰყავს, ესეც შენი სიკეთის ნაყოფია, დიდო ქალო, შენი იმედით, შენი მადლიანი ხელის იმედით გაჩნდა ამდენი სიცოცხლე მემარნეების ოჯახში. შენი მადლიანი, დიდი გულის წყალობაა, რომ შენი ახალგაზრდა რძლები საზოგადოებრივ საქმიანობაშიც გამოირჩევიან, მოწინავენი არიან, ხალისიანნი, საქმიანნი და ლაღები.

შენნაირმა ქალებმა გადაარჩინეს, დავითაძის ქალო, ჩვენი მოდგმა და ჯილაგი, შენნაირმა ქალებმა ზიდეს დიდი ტვირთი ოჯახისა, ქალობისა, დედობისა. ახლა ბედნიერი ბებია ბრძანდები, ყველასათვის საპატივცემულო, საყვარელი, სათაყვანები. განა ვინ ხარ? ერთი უბრალო გლეხის ქალი, დიდი სიკეთით სავსე გულის პატრონი, სიკეთე მისხალ-მისხალ დაუნაწილე შენს მოდგმას, შენს ნაგრამს, როგორც იტყვიან ხოლმე და მაინც ულეველი აღმოგაჩნდა ეს სიკეთე, ახლაც რომ სახეს გინათებს, ღიმილს გიშუქებს. როგორც ზოგ შენს შვილსა და შვილიშვილს გამოჰყვა თვალების და სახის ფერი შენი, ისე სუყველა მათგანს გამოჰყვა, უეჭველია, შენი სიკეთის მადლიც: შენი კაიქალობა, შენი კაიკაცობა.

და მაინც: საიდან არის ამდენი ძალა, ამდენი შინაგანი ცეცხლი ამ ერთი შეხედვით სუსტ, პატარა ქალში?

სიკეთე ზოგჯერ უმადურობასაც ბადებს. შენ ეს ხვედრი აგაცილა ბუნების ძალამ. კეთილო ქალო. მომავალშიც დაე ასე იყოს!

მეორე დილა ხასხასა, მზიანი გათენდა. მემარნეების სახლში კვლავ თვალში მეცა ბავშვების სიმრავლე. მერე გულიკო და უფროსი გოგონები ჩაიში წავიდნენ: საბარგო მანქანა მოადგა ჭიშკარს და წაიყვანა ისინი პლანტაციაზე.

სახლში დარჩა ეხსანი. დარჩა როგორც დედა-ბოძი, როგორც ამ ოჯახის დიდი დედა — მარადქალურის, მარად დედურის სიმბოლო, მისი ნიშან-სვეტი...

მე და ნინო ფეხით წამოვედით. შაშვის გალობა მოგვდევდა თან. სიმშვიდე და სიწყნარე იდგა ირგვლივ. ცის გუმბათიც საოცრად გამჭვირვალე და ღია იისფერი იყო. შორს ჰორიზონტზე ისახებოდა ქობულეთის ზღვის ზოლი. ნინოს სკოლაში მიეჩქარებოდა: ბავშვების ექსკურსიის საქმე უნდა მოეგვარებინა. ამ დილითაც ენერგიით სავსე, ცოცხალი, ხალისიანი ჩანდა ეს ტანმორჩილი მოხდენილი ქალი, ოთხი ბავშვის დედა, გოგონას რომ მაგონებდა.

ნინო თავის სკოლაზე მელაპარაკება. მე ვუსმენ და ვფიქრობ: როგორც ყველა სოფელს, გვარასაც აქვს თავისი პრობლემები, გადასაწყვეტი საკითხები. მაგრამ მომიტევონ ამჯერად კრიტიკისმოყვარულებმა. მე არ მინდა ახლა მათი დანახვა ისე, როგორც ეხსან დავითაძის სახეზე არ მინდა ნაოჭების შემჩნევა. უჩემოდაც, ჩემი კრიტიკული შენიშვნის გარეშეც იციან ამის შესახებ გვარაში, იციან და იღონებენ კიდეც რაიმეს, მაგრამ ერთს კი ვნატრობ: ნეტავი, მალე ეშველებოდეს მეჩაიე ქალს, შეუმსუბუქდებოდეს მძიმე შრომა. და მაშინ კიდევ უფრო გამრავლდებიან მემარნეები, ხაბაზები, დავითაძეები, პაპუნაშვილები... მთელი საქართველო მოიფინება მათი შთამომავლებით!

და კიდევ:

„ომი რომ გამახსენდება, რა უბედურება მოგვიტანა იმ ომმა, ერთსღა ვნატრობ: მშვიდობა იყოს: სხვა ყველაფერი გვაქვს— თუ არა გვაქვს, გვექნება. ოღონდ ომი ნუ იქნება", — უცნობი გვარელი მოხუცის ეს სიტყვები ახლა, ამ მშვენიერ დილას ლოცვასავით გახმიანდა. ოდითგანვე ხომ ეს იყო ქართველი კაცის ოცნებაც: მშვიდობა ნუ მოგვეშალოსო.

ციალა არდაშელია

ეროვნული ბიბლიოთეკა

# რვა, ოთხი, ორი, ერთი!



წლეულს მსოფლიოს ჩემპიონი ნონა გაფრინდაშვილი უნდა დაელოდოს თავისი მეტოქის გამოჩენას. ვინ იქნება იგი? — ახლა პრეტენდენტები რვანი არიან — სხვადასხვა ასაკისა და მიდრეკილების, სხვადასხვა სტილის მოჭადრაკეები. აპრილის მიწურულისათვის მათგან ოთხიღა დარჩება, ზაფხულის ბოლო დღეებისათვის — ორი. და სწორედ ეს ორი შემოდგომაზე დიდ ორთაბრძოლაში უნდა შეხვდეს ერთმანეთს ნონასთან შეხვედრის უფლების მოსაპოვებლად. გამარჯვებული 1978 წელს გაფრინდაშვილს მსოფლიოს ჩემპიონობას შეეცილება, მაგრამ არც დამარცხებული რჩება მთლად ხელცარიელი. იგი პრეტენდენტთა შემდგომ (1980 წლის) ასპარეზობაში პერსონალურად იქნება მიწვეული.

*

## არნახული სიმწვავე

მას შემდეგ, რაც ჩვენი უნიკალური ჭადრაკის სასახლე გაიხსნა, აქ უკვე ბევრი საინტერესო ასპარეზობა გაიმართა. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, სწორედ აქ მიმდინარეობდა გაფრინდაშვილ-ალექსანდრიას მატჩის დასკვნითი ნაწილი, რომლის პერიპეტიები გულშემატკივრებს ჩინებულად ახსოვთ. რა თქმა უნდა, თბილისის ამასწინანდელი საზონათშორისო ტურნირი თავისი ინტერესით ვერ მივა იმ გრანდიოზულ შეჯიბრებასთან, მაგრამ ამჯერად ბრძოლის სიმწვავე მეტისმეტად დიდი იყო. ეს იმიტომ მოხდა, რომ თავიდანვე, დებულების თანახმად, მონაწილეების წინაშე დადგა ძველთაძველი, მაგრამ აქტუალური დილემა „კეისარი ან არაფერი!“. სამეულში მოხვედრილები იღებდნენ პრეტენდენტის „ძოწის სამკაულს“, თუ გნებავთ, არსებით შეღავათებს შემდგომ ბრძოლაში (ისინი ხომ სრულიად შეურჩევლად მომავალ საზონათშორისო ტურნირებში იქნებიან მიწვეულნი), დამარცხებულები კი — თითქმის არაფერს. ერთი სიტყვით. მონაწილეებმა ამჯერად ყველაფერი დაუმორჩილეს ამ სპორტულ ამოცანებს. თანაც ბრძოლა იმან გაართულა, რომ თბილისის ასპარეზობის მონაწილეთა რიცხვს, წინასწარ, ჯერ იუგოსლავიის მრავალგზის ჩემპიონი კ. იოვანოვიჩი გამოაკლდა (რას იზამთ, გათხოვდა!), შემდეგ ბულგარელი ა. გეორგიევა (ისიც გათხოვდა!). ისე, რომ თბილისში სულ 12 მონაწილე იყო, როზენდალში (ჰოლანდია) კი — 14. ეს სულ სხვა შეჯიბრებები გახლავთ, განსხვავებული ტაქტიკითა და ამოცანებით. ერთსა და იმავე მოჭადრაკეს, როზენდალში რომ მოხვედრილიყო, შეეძლო, ასე ვთქვათ, „ფრთები გაეშალა“; თბილისში კი, სურდა თუ არა, „ხელმოჭერილად“, ემოციის სრული დაოკებით უნდა ეთამაშა. ასეთია საჭადრაკო ტურნირების ლოგიკა. როდესაც გამოჩენილი ამერიკელი მწერალი უილიამ საროიანი პულიცერის პრემიით დააჯილდოვეს, მან უარი განაცხადა მის მიღებაზე და თქვა „კომერცია უფლებამოსილი არ არის მფარველობდეს ხელოვნებას!“ მოჭადრაკეებს კი არასოდეს შეუძლიათ თქვან უარი ქულებზე, რომლებიც მათ ღირსება-ნაკლოვანებებს გამოხატავს ისე, რომ თბილისის ტურნირის მონაწილეები ვერ მიიღებდნენ „რომაული პატრიციუსის პოზას“, მათ ყველაფერი პრაქტიციზმისათვის უნდა დაექვემდებარებინათ, პრაქტიციზმი და შემოქმედება კი, როგორც ცნობილია, არ არიან მაინცდამაინც დიდი მეგობრები.

ამ თორმეტ მონაწილეს კიდევ რაღა შეკვეცა უნდოდა! კანადელმა ვუიაშევიჩმა კი რამდენიმე პარტია ითამაშა, ყველა წააგო და... გამოეთხოვა შეჯიბრებას. დაიჩაგრნენ ისინი, ვინც კანადელი დაამარცხა, მათ, ასე ვთქვათ, ქულები „გაუქრათ“. მათ რიცხვში მაია ჩიბურდანიძეც იყო, რომელიც ამ მომენტისათვის 5 თამაშიდან 3,5 ქულით გათამაშების ერთ-ერთი ლიდერი გახლდათ. როდესაც მსაჯმა ვუიაშევიჩის გვარს სატურნირო ცხრილში ხაზი გადაუსვა, მაიამ პირველი ადგილიდან სატურნირო ცხრილის შუაგულში გადაინაცვლა.

ჩვენ აქ არ გამოვუდგებით არც ტურნირის აღწერას, არც ცალკეული პარტიების გარჩევას. ყოველივე ეს ისეც კარგად არის ჩვენი მკითხველებისათვის ცნობილი. ჩვენ გვინდა მხოლოდ, აღფრთოვანება გამოვხატოთ მაია ჩიბურდანიძის შედეგის გამო. ბევრჯერ უთქვამთ, შექება ახალგაზრდებზე



კ. მარქსის სახ. სახ.
სახელმწიფო სპუბლ.
ბიბლიოთეკა

უარყოფითად მოქმედებსო, არაპედაგოგიურიაო, მაგრამ, ვფიქრობთ, უფრო არაპედაგოგიურია მიღწევებზე „მიჩუმება“, არაფრის თქმა. მაიას მიღწევა კი პირდაპირ გასაცვიფრებელია. 15 წლის ასაკში მან საზონათშორისო ტურნირში გაიმარჯვა, რაც მანამდე ქალთა ჭადრაკში არავის გაუკეთებია, 16 წლის ასაკში იგი პრეტენდენტთა მატჩში ითამაშებს, რაც ასევე პირველად მოხდება.

მაიას მიღწევებთან დაკავშირებით მინდა მოვიგონო ერთი საკმაოდ მხიარული ეპიზოდი, რაც ამ რამდენიმე წლის წინ თბილისში მოხდა. ჭადრაკის სასახლეში საბჭოთა და იუგოსლაველ მოჭადრაკეთა მატჩი მიმდინარეობდა. მეტოქეები ოთხჯერ ხვდებოდნენ ერთმანეთს. პირველ დაფაზე მსოფლიოს ექს-ჩემპიონმა პეტროსიანმა და გლიგორიჩმა თანაბარ შედეგს მიაღწიეს (2:2), 12 წლის მაიამ კი ოთხივე (!) პარტია მოუგო იუგოსლავიის ჩემპიონს ქალთა შორის, ცნობილ ოსტატს ვლასტა კალხბრუნერს. მატჩის დამთავრების შემდეგ საქართველოს ტელევიზიით გამოსვლისას, გამოჩენილმა იუგოსლაველმა დიდოსტატმა ბორისლავ ივკოვმა მაიას არც მეტი, არც ნაკლები „ქალთა ფიშერი“ უწოდა.

მოხდა ისე, რომ სწორედ მეორე დილას მსოფლიოს ექს-ჩემპიონ ტიგრან პეტროსიანთან ინტერვიუ უნდა ამეღო. ეს არ იყო ჩემი პირველი ინტერვიუ პეტროსიანთან. მან ყველაფერზე წყნარად მიპასუხა, მაგრამ როდესაც სიტყვა მაიაზე ჩამოვარდა, აღნიშნა მისი დიდი ტალანტი, და... არ მოიწონა ფიშერთან შედარება, „არ დაწეროთ ამის შესახებ. თუ გნებავთ, იგი მართლაც ქალთა ფიშერია, მაგრამ განა ივკოვს ამის შესახებ ტელევიზიით უნდა ეთქვა!?“

მას შემდეგ, რამდენიმე წელი გავიდა. დღეს მაია მსოფლიო ჩემპიონობის პრეტენდენტია და ჩვენც ჩვენს თავს ნებას ვაძლევთ პირდაპირ ვწეროთ („მრისხანებისა და მიკერძოების გარეშე“, როგორც იტყოდა დიდი ისტორიკოსი კორნელიუს ტაციტუსი). ასე ვთქვათ „გარდასულ დღეთა“ შესახებ.

## როზენდალი, მეორე საზონათაშორისო

თქმა არ უნდა, მეორე საზონათაშორისო ტურნირმა როზენდალში დიდი მოულოდნელობა მოიტანა. იგი ჯერ კიდევ დაწყებული არ იყო, როდესაც საკავშირო საჭადრაკო ფედერაციის თავმჯდომარემ დიდოსტატმა იური ავერბახმა ჩვენთან საუბარში თქვა, საბჭოთა მოჭადრაკეებს ჰოლანდიაში რაიმე წარმატების მოპოვების საშუალება არა აქვთო. ეს სიტყვები თითქოს ასახავდა კიდეც საქმის ნამდვილ ვითარებას. ბელავენეცი, ფომინა და ახმილოევსკაია კარგი ოსტატები არიან, მაგრამ...

ასეთ პირობებში დიდი სიურპრიზი შემოგვთავაზა 19 წლის ელენე ახმილოევსკაიამ. მან მთელი ტურნირი დიდი ექსპრესიით წარმართა, საბოლოოდ პირველმეორე ადგილები გაიყო კუშნირთან, ამასთან კოეფიციენტების ცხრილში უკეთესი მაჩვენებლების გამო პირველი პრიზი დარჩა. ძველ, „აპრობირებულ“ პრეტენდენტთა შორის ახალი სახელი გამოჩნდა. თუ მაიას წარმატებას დიდი, ღრმა ფესვები ჰქონდა, მან ადრეც მრავალგზის გამოიჩინა თავი, ახმილოევსკაიას პირველი ადგილი უფრო „ფეთქებად ხასიათს“ ატარებდა. იგი ხომ ზაფხულში საკავშირო პირველობის ნახევარფინალიდან ფინალში ვერ გავიდა! ვინ არის ახმილოევსკაია, ნამდვილი ვარსკვლავი თუ მეტეორი — ამას მხოლოდ პრეტენდენტთა მატჩებისას შევიტყობთ.

## თვალი დაუდგეს... წილისყრას!

როდესაც თბილისის საზონათშორისო ტურნირი დამთავრდა, ტელეკომენტატორმა ნანა ალექსანდრიამ ინტერვიუ მაია ჩიბურდანიძისაგან აიღო და ხუმრობით თქვა, ვინ იცის, შეიძლება მაია პირველ წრეში სწორედ მე შემხვდესო. გაზეთ „კომუნისტის“ საჭადრაკო მიმომხილველი აღნიშნავდა ასეთი მატჩის შესაძლებლობას და მის... არასასურველობას.

თქვენ წარმოიდგინეთ ასეთი შესაძლებლობა: ფიდეს პრეზიდენტი პროფესორი მაქს ეივე მიდის მაგიდასთან, რათა ალექსანდრიას მეტოქე შეურჩიოს. მაგიდაზე ოთხი კონვერტი დევს. ერთში წერია „კოზლოვსკაია“, მეორეში — „კუშნირი“, მესამეში — „ჩიბურდანიძე“, მეოთხეში „ლემაჩკო ან ნიკოლაუ“ (იმ მომენტში მათ შორის მატჩი ჯერ კიდევ არ იყო ნათამაშევი). თუ რომელია ჩიბურდანიძის კონვერტი, ეს, რა თქმა უნდა, არავინ იცის, კონვერტები მრავალგზის აურიეს და დალუქეს. ეივე მიდის მაგიდასთან, ერთხანს ყოვნდება, შემდეგ ერთ კონვერტს იღებს, ხსნის და ხმამაღლა კითხულობს — „ჩიბურდანიძე“.

ეს წილისყრის მეტად არასასურველი შედეგი იყო, თუმცა მისი 25 პროცენტი ყოველთვის არსებობდა. „თვალი დაუდგეს წილისყრას“, იტყოდნენ ამ შემთხვევაში ჩვენი დიდედები. მაგრამ რა გაეწყობა!! საჭადრაკო მაგიდას საცაა შემოუსხდებიან ნანა ალექსანდრია და მაია ჩიბურდანიძე.

**გ. გამრეკელი**



გივი ჭიჭინაძე

## სამი კნუტი

სახლში სამი კნუტია —
ცეტა, ზანტა, ბუტია.
ცეტა დახტის
ალთა-ბალთას,
უკან დასდევს
ბატს და ქათამს.
თვალებს ისე
აცეცებს,
ვერ გავიგეთ
რას ეძებს!
ხან ტყეშია,
ხან — მინდორში,
ხან — ხეზე და
ხან — სხვენზე.
ზანტა დარდიმანდია,
ბაფთიანი ფრანტია,
არაფერზე არ ფიქრობს,
სულ დივანზე აგდია.
ასე ნებივრობაში
ათენებს და აღამებს,
სახლს რომ ცეცხლი გაუჩნდეს,
თვალს არ დაახამხამებს.
ბუტია კი,
ბუტუსურა,
დახეთ, სულ მთლად,
თავს გასულა!
შინაურებს
გაებუტა
რაღაც მიზეზ —
მიზეზით,
შინ შემოსვლა
აღარ უნდა
და საწვიმარ
მილზე ზის.
„რას გვემდურის ნეტავ?!“
კითხვას ვერვინ ბედავს...

სახლში სამი კნუტია —
ცეტა, ზანტა ბუტია,
ვაი, იმათ დედას!

## ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-60 წლისთავის შესახვედრად

# ღვაწლმოსილი



მარიამ კავკასიძე იმ ინტელიგენტთა რიცხვს ეკუთვნის, ვინც საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისთანავე მხარში ამოუდგა ახალგაზრდა რესპუბლიკას და მისი განმტკიცებისათვის იბრძოდა.

1921 წლის გაზაფხულზე მარიამმა მუშაობა დაიწყო ქვემოჭალის რაისაბჭოს აღმასკომში (ახლა კასპის რაიონი). აქტიურმა, სიცოცხლითა და ენერგიით სავსე გოგონამ მალე მიიქცია ხელმძღვანელი მუშაკების ყურადღება. მარიამს აგიტატორობა დაავალეს. ქვემოჭალაში, სადაც ადრე ქართლის მბრძანებელთა და დამმონებელთა, — ამილახვართა რეზიდენცია იმყოფებოდა და სადაც საუკუნეების მანძილზე დაბეჩავებულ გლეხობაში განმტკიცებული იყო ძველი ადათ-ჩვეულებისადმი მორჩილება, ადვილი არ იყო საგიტაციო მუშაობა და რაიმე პოლიტიკური ღონისძიების გატარება. მართალია, ქვემოჭალაში ისეთი მოწინავე და გაბედული გლეხებიც ცხოვრობდნენ, რომელნიც მეცხრამეტე საუკუნის დამლევიდან და მეოცე საუკუნის დასაწყისიდან დაკავშირებული იყვნენ ქალაქის რევოლუციონერ მუშებთან და 1905-1907 წლების გამოსვლებში აქტიურად მონაწილეობდნენ, მაგრამ რეაქციის წლებმა და მძიმე რეპრესიებმა ბევრი მათგანი ან საპყრობილეებში ჩაალპო ან ფიანდაზად გაშლილი ლეხურის ხეობიდან და ქვემოჭალიდან განდევნა.

1921 წელს საბჭოთა ხელისუფლების დამყარებას იმ რევოლუციონერთაგან მხოლოდ ერთეულები შეეგებნენ.

ქვემოჭალის რაიონში 1917-1918 წლებში პარტორგანიზაციების შექმნის ინიციატორი და ორგანიზატორი იყო სოფელ ქვემოჭალის მკვიდრი და თბილისის მუშების წარმომადგენელი ვასილ გნოლიძე, რომელიც შემდგომში მარიამ კავკასიძის მეუღლე გახდა.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველი დღეებიდანვე პარტია და ხელისუფლება დიდ ყურადღებას უთმობდნენ ქალთა შორის მუშაობას. 1921 წლის გაზაფხულზე დაიწყო დიდი მზადება რესპუბლიკის უპარტიო ქალთა ყრილობის მოსაწვევად. საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის ქალთა განყოფილების გამგე ლიდა ილარიონის ასული გასვიანი პირველად ქვემოჭალისაკენ გაემგზავრა. გზად სამთავისში, ქეთევან ილურიძესთან შეჩერდა (ქეთევანს ლიდა უნივერსიტეტიდან იცნობდა).

მარიამ კავკასიძემ ადრევე შეიტყო, რომ ცენტრალური კომიტეტის განყოფილების გამგე ქვემოჭალაში ჩასვლას აპირებდა. მან წინასწარ დიდი მუშაობა ჩაატარა, სამთავისი, იგოეთი, ლამისყანა, ოკამი და სხვა სოფლები ფეხით შემოიარა და სარაიონო ქალთა კრებაზე დასასწრებლად აქტივისტი ქალები შეარჩია.

მარიამ კავკასიძე იგონებს: „სამთავისიდან ქვემოჭალამდის ლიდა გასვიანმა ფეხით იმოგზაურა. იგი დიდი ინტერესით ათვალიერებდა ლეხურის აზურმუხტებულ სანაპიროებს, იხიბლებოდა ფიანდაზად გაშლილი ხეობისა და ქართლის მადლიანი მიდამოების ცქერით.

ლიდა გასვიანი ქალების წინაშე ვრცელი და მეტად შინაარსიანი სიტყვით გამოვიდა. ამ ორატორული ნიჭით დაჯილდოებულმა ქალმა ერთბაშად მოხიბლა და დაიპყრო აუდიტორია, უბრალო და მარტივი ენით ესაუბრებოდა ქალებს, განუმარტავდა საბჭოთა ხელისუფლების დიად ამოცანებს. ლიდა გასვიანის ჩამოსვლამ დიდი გავლენა იქონია ქალებზე და მეც უფრო გამიადვილა მუშაობა. გასვიანს გავაცანი ჩვენი საქმიანობა, ვუამბე, რომ ვქმნიდით ქალთა კოლექტიურ მეურნეობას, გამოყოფილი გვქონდა ნაკვეთი, შევიძინეთ აბრეშუმის ჭიის თესლი და აბრეშუმის ჭიის მოვლა-მოშენება დავავალეთ ქალებს“...

ამ ღონისძიებების გატარებას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მაშინდელი გლეხი ქალების კოლექტიურ შრომაში ჩაბმისათვის. ლიდა გასვიანს მოეწონა მარიამ კავკასიძის მიერ დასახული ღონისძიებები. მისი წინადადებით კავკასიძე რაიონის ქალთა შორის მომუშავედ გამოყვეს.

ქვემოჭალის რაიონში მცხოვრებ ხანდაზმულ ადამიანებს დღესაც ახსოვთ ახალგაზრდა, ტანმორჩილი გოგონა, ფეხით რომ დადიოდა სოფლიდან სოფელში, დიდი სერიოზულობით ესაუბრებოდა გლეხის ქალებს, რაზმავდა მათ ახალი, ნათელი ცხოვრების შექმნისათვის.

მარიამ კავკასიძე თავისი ახალი ოჯახით ქვემოჭალაში ცხოვრობდა, მაგრამ საქმიანობით სამთავისთან იყო დაკავშირებული. სამთავისის პარტორგანიზაცია, რომელსაც სათავეში ედგა კომუნისტი, შემდეგში სამთავისის კომუნის ორგანიზატორი გიორგი უზნაძე, დიდ დახმარებას უწევდა მარიამს მუშაობაში. საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და მთავრობა ყურადღებით ეკიდებოდნენ ქვემოჭალის რაიონს. ლიდა გასვიანის მოსკოვში წასვლის შემდეგ ქვემოჭალაში და სამთავისში ბევრჯერ ყოფილა მარიამ ორახელაშვილი.

მახსოვს, რა აღფრთოვანებით მიამბობდა მარიამ კავკასიძე მარიამ ორახელაშვილის ქვემოჭალაში პირველად ჩამოსვლის ამბავს.

„მარიამ ორახელაშვილის ჩამოსვლის ამბავი მე წინასწარ შემატყობინეს. შემოვიარე სოფლები, მოვიწვიე რაიონის ქალთა აქტივი, ახალგაზრდები. ამ საქმეში დიდი დახმარება გამიწიეს ქვემოჭალელმა კომუნისტებმა, სამთავისიდან — გიორგი უზნაძემ და საშა მცხვეთაძემ.

მარიამ ორახელაშვილი ქალების წინაშე ვრცელი, შინაარსიანი მოხსენებით გამოვიდა. მისმა უბრალო, გულშიჩამწვდომმა სიტყვებმა ქალებზე დიდი გავლენა მოახდინა.

ქვემოჭალაში მუშაობის პერიოდს მარიამ კავკასიძე თავისი ცხოვრების მეტად მნიშვნელოვან პერიოდად თვლის. „მართალია, იქ იყო დიდი სიძნელეები, გაჭირვება, და განსაცდელი, მაგრამ იყო ახალგაზრდობა, მომავლის დიდი რწმენა და საქმით გატაცება, რაც ყოველგვარი სიძნელის გადალახვას მიადვილებდა“.

მაგონდება ის შორეული, ავადმოსაგონარი 1924 წელი, როცა ახალგაზრდა საბჭოთა საქართველოს წინააღმდეგ შავბნელმა ძალებმა მახვილი აღმართეს. ვისაც კი იარაღის ხმარება შეეძლო, რაზმებში შევიდა მტრის წინააღმდეგ საბრძოლველად. მარიამ კავკასიძის მეუღლე ვასილ გნოლიძე (ის იმ დროს ქვემოჭალის სათემო კომიტეტის

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მდივანი იყო) მებრძოლ რაზმს მეთაურობდა. მარიამი თავისი ჩვილი ბავშვით შინ მარტო იყო. შუაღამე იქნებოდა გადასული, გარედან ხმა მოესმა: „გამოიყვანეთ ახლავე გნოლიძის ცოლი თავის ბავშვიანად და ჩემს თვალწინ მოსპეთო“. ოთახში კარჩაკეტილი ქალი ბავშვს გულში იკრავდა, კანკალებდა, ყოველ წუთს ელოდა მუქარის ასრულებას. ოთახში შესასვლელ კარებთან რომ მტერი იმუქრებოდა და კარების შემტვრევის განკარგულებას იძლეოდა, ოთახის უკანა ფანჯარასთან კომკავშირელები შეგროვილიყვნენ და გათენებამდის იცავდნენ დედისა და ბავშვის სიცოცხლეს.

მეუღლე თბილისში რომ გადაიყვანეს, მარიამმა მუშაობა დაიწყო ლენინის სახელობის პარტიის რაიკომში. მან ფართო საქმიანობა გაშალა ამიერკავკასიის რკინიგზის სახელოსნოების სამჭედლო საამქროს ქალთა შორის. შემდეგ ის რკინიგზის სამმართველოში ქალთა შორის მომუშავედ ითვლებოდა.

საკოლმეურნეო მოძრაობის გაშლისთანავე 1929-30 წლებში მ. კავკასიძე დუშეთის რაიონში გაგზავნეს ქალთა განყოფილების გამგედ, შემდეგ კი გორში გადაიყვანეს სამანქანო-სატრაქტორო სადგურის ქალთა განყოფილების გამგედ.

მერე კი დაიწყო ომი, დიდი და მძიმე სამამულო ომი, მარიამ კავკასიძის მეუღლემ ფრონტს მიაშურა, ქალი მარტო დარჩა ხუთი ბავშვით. სხვა რომ არაფერი, იმ ძნელ წლებში ხუთი ბავშვის გამოკვებაც კი რა რთული საქმე იყო! თავაუღებელი შრომა, რიჟრაჟიდან ფეხზე დგომა — დღისით სამსახური, საღამოს პარტიული დავალების შესრულება... ბავშვებისათვის მხოლოდ ღამით თუ მოიცლიდა. გაჭირვება, ფიქრი სამშობლოს განსაცდელზე, ოჯახზე, შვილებზე... მაგრამ დიდი რწმენის ქალი იმედს არ კარგავდა, სწამდა, რომ ქვეყანა გამოვიდოდა განსაცდელისაგან, მტერი დამარცხდებოდა, მშვიდობა დამყარდებოდა და მისი შვილებისთვისაც ნათელი დღეები დადგებოდა.

გავიდა წლები, მარიამ კავკასიძე პარტიამ პროფკავშირებში გაგზავნა სამუშაოდ. ერთხანს ჟურნალ „მშრომელი ქალის“ რედაქციაშიც მუშაობდა. წლების მანძილზე იყო გაერთიანებული ადგილკომის თავმჯდომარე. 15 წელი სამკერვალო ატელიეს ხელმძღვანელობდა. თავმდაბალი და უპრეტენზიო იყო, სადაც კი გაგზავნიდნენ და რასაც კი დაავალებდნენ, ყველგან უყოყმანოდ მიდიოდა, დიდსა და პატარა საქმეს არ არჩევდა, ყველაფერს დიდი პასუხისმგებლობით ეკიდებოდა, ყველა საქმის კეთილსინდისიერად შესრულება კომუნისტის დიდ მოვალეობად მიაჩნდა. სიძნელეებსა და გაჭირვებაზე არასოდეს წუწუნებდა.

მარიამ კავკასიძე დღეს პერსონალური პენსიონერია, შვილებში და შვილიშვილებში ბედნიერად გრძნობს თავს და ნახევარსაუკუნოვან შრომას ტკბილად იგონებს.

**ნინო ხატისკაცი**

# ქალის ორგანოების კიბო და მისი პროფილაქტიკა

ავთვისებიან ახალწარმონაქმნებთან ბრძოლა დღეს მსოფლიო მეცნიერმედიკოსთა უპირველესი პრობლემაა. კიბო გავრცელებულია დედამიწის ყველა გეოგრაფიულ სარტყელში, როგორც ცივილიზებულ, ისე კულტურის დაბალ საფეხურზე მყოფ მოსახლეობაში. ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემებით ყოველწლიურად რეგისტრირებულია ახლადგამოვლინებული ყველა სახის კიბოს ოთხნახევარი მილიონი შემთხვევა.

როგორია ამ რთული პრობლემის გადაწყვეტის გზები? სპეციალურ სამედიცინო ლიტერატურაში არსებობს სხვადასხვა მოსაზრება. მეცნიერთა ერთი ნაწილი საკმაოდ ოპტიმისტურად არის განწყობილი; მათი აზრით, ყოველდღე უნდა ველოდოთ რაიმე კარგს, მეორენი, პირიქით, პესიმისტურ მოსაზრებებს გვთავაზობენ და საკითხის გადაწყვეტის ვადებს ათეული წლებით სწევენ; ასეთი სხვადასხვაობა ადამიანებს მცდარ შეხედულებას უქმნის, მათი ნაწილი მედიცინას უძლურად თვლის, ხოლო კიბოს წარმოქმნის თავიდან აცილებას — შეუძლებლად. ერთი სიტყვით ბევრნი სიტყვა „კიბოს“ სასიკვდილო განაჩენად მიიჩნევენ. მაგრამ ეს ასე არ არის.

აუცილებელია ყველამ იცოდეს, რომ კიბო ერთბაშად არ ჩნდება. კიბოს საფუძველი ზოგჯერ ათეული წლების მანძილზე იქმნება. დაკვირვებამ გვიჩვენა, რომ სიმსივნე არ ვითარდება ჯანმრთელ ორგანოსა და ქსოვილში, იმ ფონს, რომელზეც შეიძლება კიბო განვითარდეს, უწოდებენ კიბოსწინარე პროცესს ან კიბოსწინარე დაავადებას, რომლის დროული გამოვლინება და მკურნალობა არის სწორედ ყველაზე მთავარი — ესაა კიბოს პროფილაქტიკა.

კიბო იმით არის სწორედ ვერაგი და საშიში, რომ დასაწყისი „უსიმპტომოდ“, ფარულად მიმდინარეობს.

კიბოს პროფილაქტიკას საფუძვლად უდევს ავადმყოფობის დროული გამოვლინება, საჭირო ზომების დროულად მიღება. მაგრამ ხშირად ჯანმრთელობაზე ფიქრს მხოლოდ მაშინ ვიწყებთ, როდესაც მას ვკარგავთ, როცა მანქანის მექანიზმი „მოშლილია“.

კიბოს დიაგნოზის ადრეული დადგენა სავსებით შესაძლებელია. ამისათვის აუცილებელია მოსახლეობის პროფილაქტიკური გასინჯვა. ცნობილი ექიმი-ონკოლოგი ვ. ფ. სნიგერიევი წერდა: „30-დან 50 წლამდე ასაკის ყველა ქალს რომ დავარწმუნებდეთ როგორი საჭიროა 3-4 თვეში ერთხელ ეჩვენოს ექიმს, მაშინ იმედი გვექნებოდა კიბოს დაგვიანებული შემთხვევების აღკვეთისა, გაცილებით ეფექტური გახდებოდა ოპერაციები, იშვიათად მივიღებდით რეციდივებს“. ეს დებულება დღეისათვის ძალაში რჩება. რაც უფრო ადრეა დაწყებული მკურნალობა, მით უფრო მეტია ავადმყოფის განკურნების გარანტია.

მრავალი სახის კიბოს დიაგნოზის დადგენა შესაძლებელია სრულიად საწყის ფორმაში (მაგალითად სარძევე ჯირკვლის კიბო და საშვილოსნოს ყელის კიბო), შეიძლება დადგინდეს მაშინ, როცა ავადმყოფი თავად ვერაფერს გრძნობს.

ავთვისებიან სიმსივნეთა შორის ქალებში ყველაზე მეტად სარძევე ჯირკვლისა და საშვილოსნოს კიბოა გავრცელებული. ამერიკის შეერთებულ შტატებში ყოველწლიურად სარძევე ჯირკვლის კიბოს 67.000 შემთხვევას აღრიცხავენ ე. ი. ყოველ 10.000 ქალზე — სამოცდაცხრას.

გამოკვლევებმა გვიჩვენა, რომ სარძევე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯირკვლის კიბოს განვითარებაში დიდ როლს ასრულებს ჰორმონების ცვლისა და ბალანსის დარღვევა. ამ დარღვევებს პირდაპირი კავშირი აქვს შობადობასა და აბორტების რიცხვთან, ძუძუს წოვების ხანგრძლივობასთან და ა. შ.

ბოლო დროს სარძევე ჯირკვლის კიბოთი დაავადების შემთხვევები გახშირდა. ამ ფაქტის ერთ-ერთი მიზეზი ისაა, რომ დედები ხშირად უარს ამბობენ ძუძუს წოვებაზე. უკანასკნელ წლებში ამერიკაში ბავშვების ხელოვნური კვება ჩვეულებრივ ამბად იქცა.

შვეციაში შობადობისა და ძუძუს წოვების შემცირების გამო, ხშირია სარძევე ჯირკვლის კიბო, აგრეთვე ფიბროადენომატოზის (სარძევე ჯირკვალში მრავლობითი სიმკვრივეების) შემთხვევები. ამ ქვეყანაში კიბოთი დაავადებულ ქალთა შორის ყოველ მეოთხეს აქვს სარძევე ჯირკვლის ავთვისებიანი სიმსივნე. სარძევე ჯირკვლის კიბოს შემთხვევებმა იმატა ჩვენს რესპუბლიკაშიც, განსაკუთრებით 50-60 წლის ასაკის ქალებში; ყოველ 100.000 ქალზე გვხვდება სარძევე ჯირკვლის კიბოს 54,5 შემთხვევა.

სარძევე ჯირკვლის კიბო უფრო ხშირად ემართებათ უშვილოებს, ანდა იმათ, ვისაც ჰყავს შვილი, მაგრამ ძუძუ არ უწოვებია, გაკეთებული აქვს ბევრი აბორტი. აბორტი მარტო ფეხმძიმობის შეწყვეტა როდია, აბორტის შემდეგ სარძევე ჯირკვლის უჯრედები განიცდის უკუგანვითარებას, ხდება ცვლილებები, მიმდინარეობს ე. წ. დისჰორმონალური პროცესი, რასაც მომავალში შეუძლია გამოიწვიოს სხვადასხვა პათოლოგიური მდგომარეობა და თვით სიმსივნური წარმონაქმნიც კი.

ქალმა უთუოდ უნდა შეინარჩუნოს პირველი ორსულობა. პირველი ფეხმძიმობის შეწყვეტა ხშირად ანთებებს, უნაყოფობას იწვევს, რაც თავის მხრივ მიზეზი ხდება ჰორმონალური ბალანსის დარღვევისა, ფრიად დიდი და დადებითი მნიშვნელობა ენიჭება ხშირ მშობიარობასა და ძუძუს ბოლომდე წოვებას. ეს ერთგვარი გარანტიაც კი გახლავთ ჯანმრთელობის შენარჩუნებისა.

ირკვევა, რომ კიბო ხშირად მემკვიდრეობითიც არის. მათ, ვისაც მშობლები ან ახლო ნათესავები ამ სენით ჰყავთ დაავადებული, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ თავიანთ ჯანმრთელობას.

სარძევე ჯირკვალში ეს პროცესები იწყება უმტკივნეულოდ მკვრივი კვანძის სახით, რომელიც მოთავსებულია ჯირკვლის სისქეში. პირველად სიმსივნე საკმაოდ მოძრავია, შეიძლება დვრილის ჩაზნექაც იყოს. დვრილიდან გამოდიოდეს სითხე და ა. შ. როცა ნორმიდან რაიმე გადახრას აღმოაჩენთ, ვთქვათ, თუნდაც სისხლიან გამონადენს, აუცილებელი არ არის მაშინვე, მაინც და მაინც სარძევე ჯირკვლის კიბოზე იფიქროთ, და პანიკამ მოგიცვათ. შესაძლოა ყოველივე ანთებით ან რომელიმე კეთილთვისებიანი სიმსივნით იყოს გამოწვეული. მეორეს მხრივ, ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ გული დაიარხეინოთ. ყველა შემთხვევაში სასწრაფოდ უნდა მიმართოთ ექიმს. თუ ეს კიბოსწინარე დაავადება აღმოჩნდება, დროული მკურნალობა გამოგაჯანმრთელებთ. ვიმეორებთ, დაუშვებელია დაგვიანება, წაყრუება, გულდამშვიდება, ან, პირიქით, ზედმეტი შიში! გვახსოვდეს, კიბოს პრობლემის გადაწყვეტა — პროფილაქტიკაა.

როგორც ფრანგი მეცნიერი პიერ დენუა ამტკიცებს, სარძევე ჯირკვლის გადაგვარებული პირველი უჯრედის წარმოქმნიდან 2 სმ დიამეტრის სიმსივნის წარმოქმნამდე შეიძლება გავიდეს ორნახევარი წლიდან 15 წლამდე. კიეველი მეცნიერები იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ საშვილოსნოს ყელის კიბოსწინარე დაავადების გადასვლა კიბოს საწყის ფორმაში ხუთ წელიწადს გრძელდება.

ჩვენ გვაქვს ისეთი გამოსაკვლევი აპარატები, ვფლობთ ისეთ მეთოდებს, რომ შესაძლებელი ხდება დადგინდეს არა მარტო სიმსივნის წინადაავადების დიაგნოზი, არამედ კიბოს ისეთი ფორმებიც, რომელთა დადგენა უბრალო გასინჯვით შეუძლებელია. კვლავ ხაზი უნდა გავუსვათ იმას, რომ კიბოს მიზეზით სიკვდილიანობა ძირითადად დაგვიანებული დიაგნოზით აიხსნება.

რაიმე რომ არ გამოგვრჩეს, ქალმა უნდა ისწავლოს და წესად აქციოს სარძევე ჯირკვლის საკუთარი ხელით გასინჯვა. ეს უნდა მოხდეს მენზესის (დედათა წესის) დამთავრებიდან ერთი კვირის შემდეგ. არსებობს გასინჯვის სპეციალური მეთოდები:

1. გულდასმით დაათვალიერეთ პერანგი და ბუსგალტერი, ხომ არ არის ზედ რაიმე ლაქა, ლაქა შეიძლება იყოს უფერულიცა და სისხლიანიც. ძირითადად, ამ ლაქას იმ ალაგას შენიშნავთ, სადაც საცვალს ძუძუს დვრილი ეხება.

2. წელამდე შიშველი, დაშვებული ხელებით დადექით სარკის წინ, დააკვირდით, სარძევე ჯირკვლები მთლად ერთნაირია თუ რაიმე განსხვავებას ამჩნევთ? დვრილს (ძუძუსთავს) ფორმა ხომ არა აქვს შეცვლილი?! ფრთხილად მოუჭირეთ დვრილს ხელი, რაიმე სითხემ ხომ არ გამოჟონა?

3. დაწექით მაგარ საწოლზე, მარჯვენა ბეჭის ქვეშ ამოიდეთ პატარა ბალიში, მარჯვენა ხელი ტანს პარალელურად გააყოლეთ, მარცხენა ხელის თითების წვერებით დაიწყეთ სარძევე ჯირკვლის (ძუძუს) სინჯვა — დვრილიდან მოყოლებული, ზემოთ, გარშემო, იღლიის ფოსოში. ანალოგიურად ისინჯება მარცხენა ძუძუც.

თუ რაიმე ცვლილებას — შემაგრებას, ტკივილს, შესიებას ან სხვა რამ საეჭვოს შენიშნავთ, დაუყოვნებლივ მიმართეთ ექიმს. არავითარ შემთხვევაში არ დაიდოთ სათბურები, საფენები, მალამოები. მცდარ მკურნალობას დიდი ზიანის მოტანა შეუძლია.

ლატვიაში ქალების თვითგასინჯვა 1966 წლიდან დაიწყო, რის შედეგადაც 1967 წელს სარძევე ჯირკვლის კიბოს შორსწასული ფორმები 12%-დან 3,8%-მდე შემცირდა. როგორც ხედავთ, ფაქტი კომენტარს აღარ საჭიროებს!

ქალებში, როგორც უკვე აღვნიშნეთ, სარძევე ჯირკვლის კიბოს პარალელურად, ერთ-ერთი პირველი ადგილი უჭირავს საშვილოსნოს კიბოს. საშვილოსნოს კიბო, ისევე როგორც სარძევე ჯირკვლის სიმსივნე, ჯანმრთელ ქსოვილში როდი ვითარდება, მას ყოველთვის წინ უსწრებს ეგრეთწოდებული კიბოსწინარე პროცესები.

ყოველგვარი საეჭვო გამონადენი — თეთრად შლა, სისლხნარევი გამონადენი რაც ადგილობრივი, მსუბუქი ტრავმის შემდეგადაც კი ჩნდება, დედათა წესის რიტმის დარღვევა, კლიმაქსის შემდგომ პერიოდში დედათა წესის სრული შეწყვეტა ან უეცარი გამოჩენა, ყველა ეს და თითოეული ცალცალკე საკმაო მიზეზია იმისათვის, რომ სასწრაფოდ ეჩვენოთ ექიმს.

საშვილოსნოს ყელის კიბო ძირითადად (85-90%-ში )ეროზიის — ლორწოვანი გარსის წყლულის, პოლიპოზის ფონზე ვითარდება.

საშვილოსნოს ყელის კიბოს დროული გამოვლინება სრული გარანტიაა იმისა, რომ ავადმყოფი განიკურნება!

მასობრივი გასინჯვა ხელს შეუწყობს, როგორც პროფილაქტიკას,ისე კიბოს ადრეულ დიაგნოსტიკას. უნდა დაუწესდეს სისტემატური კონტროლი 25 წელს გადაცილებულ ყველა ქალს.

პროფილაქტიკისათვის ბრძოლაში უნდა ჩაებას ყველა, ვისაც ამასთან საერთო აქვს რაიმე. უკანასკნელი 15 წლის მანძილზე (პროფილაქტიკის წყალობით) ჩვენს ქვეყანაში საგრძნობლად შემცირდა კიბოთი სიკვდილი.

კიბოზე შეტევა სულ უფრო სრულყოფილ და ფართო მასშტაბს იღებს. გაშლილია საერთაშორისო ურთიერთთანამშრომლობა. ონკოლოგიაში ბევრი პრობლემა მუშავდება ამერიკელი და საბჭოთა მეცნიერების მიერ შექმნილი ერთობლივი პროგრამით. ამ პროგრამით გათვალისწინებული საკითხების შესწავლაში აქტიურ მონაწილეობას იღებენ ქართველი მეცნიერებიც.

დღეისათვის ნატიფად არის შესწავლილი სიმსივნური უჯრედი, სიმსივნის სტრუქტურა, მისი ზრდისა და განვითარების ხასიათი და კანონზომიერება, ფართოდ შეისწავლება სიმსივნური გენეტიკა, იმუნოლოგია, ვირუსოლოგია და სხვა, მაგრამ დღესდღეობით მაინც ძალაში რჩება ძირითადი დებულება; რაც უფრო ადრეა დადგენილი დიაგნოზი, რაც უფრო ადრეა დაწყებული რაციონალური მკურნალობა, მით უფრო მეტია ავადმყოფის განკურნების ვარიანტი. ადრეული დიაგნოზის ფასი ჯანმრთელობა და სიცოცხლის შენარჩუნებაა.

ავთვისებიანი სიმსივნის წინააღმდეგ საბრძოლველად ჩვენს ქვეყანაში ფართო ონკოლოგიური ქსელია შექმნილი.

ყოველი ადამიანი, რომელიც რაიმე ეჭვს შეიტანს თავის ჯანმრთელობაში, ვალდებულია მიმართოს ამ ფართო ქსელის რომელიმე რგოლს.

კოტე მაღიჩი,
დოცენტი.



# რევოლუციონერის ქალიშვილი

„ჩემო თალიკო, სატუსაღოს კედლებში გამოკეტილს უხილავი ძალა ჩამჩურჩულებს, თქვენსკენ მიხმობს. სხეულში სასიამოვნო სითბო მეღვრება. ასე მგონია, შენ გესაუბრები, თვალებში შემომცქერი და კალთაში პატარა ციცა გიზის. ეს ფიქრი, იმის შეგრძნება, რომ გჭირდები, მამხნევებს და მიადვილებს ყოველდღიურ ტანჯულ ცხოვრებას. არ იფიქრო, რომ ციხეში ჯდომით ყოველივე ადამიანურს ჩამიკლავენ. ეს რომ ასე იყოს, მაშინ რიღას მაქნისი ვიქნები, ვეღარც ჩემს ოჯახს გამოვადგები და ვეღარც საზოგადოებას. „ძლიერი“ მთავრობა ციხეში იმიტომ იჭერს ხალხს, იმიტომ ახდენს ათასნაირს, ვითომდა რეფორმას, ტუსაღებისათვის, რომ ჩაჰკლას მათში კაცობა და ყოველივე ადამიანური უნარი! მაგრამ არა უშავს რა, გაუშვი ჩაჰკლან! ჩვენი გამოუსადეგარი ლეში იმისთვის კიდევ გამოდგება, რომ დაალპოს ამ რეაქციის ციხესიმაგრეების საძირკველი და მათი „მომავლისათვის“ ნაშთიც აღარ დატოვოს.

ჩემო კარგო მეგობარო, იცოდე, რომ ყოველივე ახალი ცვლილება, რომლისთვისაც ვიბრძვით ჩვენ, გეკუთვნის შენ, ჩემს პატარა ციცას, და ჩვენს ახალ მომავალს, რომლისაც გვჯერა.

მოუარე ჩემს პატარა ქალს, ასწავლე ბრძოლა და შრომა. გეხვევით, გკოცნით და მოგილოცავთ ხარებობას. — 1910 წელი. თქვენი პეტრე“.

ეს წერილი მეუღლეს შორეული გადასახლებიდან გამოუგზავნა პეტრე ჯიაძემ; იგი კატორღაში დაიღუპა.

რევოლუციონერის ქალიშვილმა მართლაც მთელი ცხოვრება ისე წარმართა, როგორც მამამისს გაუხარდებოდა.

დედა ძალღონეს არ იშურებდა იმისათვის, რომ შვილს განათლება მიეღო. ბავშვობიდანვე მიეჩვია ალექსანდრა შრომას. სკოლაში ფრიადებზე სწავლობდა. 1931 წელს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის აგრონომიულ ფაკულტეტზე ჩარიცხეს. ორი წლის შემდეგ მისი სურათი ინსტიტუტის სტუდენტთა დაფას ამშვენებდა. ქვეშ ეწერა: — წარჩინებულ სტუდენტს ალექსანდრა პეტრეს ასულ ჯიაძეს თავისი სტიპენდია შეაქვს ღარიბ სტუდენტთა ფონდში.

ალექსანდრამ წარჩინებით დაამთავრა ინსტიტუტი და როდესაც ასპირანტურაში დარჩენა შესთავაზეს, უარი განაცხადა.

ჩვენი სოფლის მეურნეობა მაშინ სპეციალისტების ნაკლებობას განიცდიდა, ალექსანდრას გულმა თიანეთისაკენ გაუწია. მან კარგად იცოდა, რომ, სადაც არ უნდა შრომობდეს, ყოველგვარი მოღვაწეობა, თუ ის ხალხისთვის სამსახურის კეთილშობილური მიზნით არის გასხივოსნებული, დასაფასებელია.

ახალბედა სპეციალისტი კარგად მიიღეს თიანეთში. მაშინ რაიონში მხოლოდ ორი აგრონომი იყო — ერთი თიანეთის, მეორე ერწოს ზონაში. ალექსანდრას თიანეთის რაიონში თესლის კონტროლის ლაბორატორიის ჩამოყალიბება დაავალეს.

ის ათი წელი ხელმძღვანელობდა ამ ლაბორატორიას. შემდეგ კი სოფელ ჟებოტაში გადავიდა და მთიანი ზონებისათვის ახალი, უხვმოსავლიანი ჯიშების გამოსაყვანად სელექციის სადგურის დასაყრდენი პუნქტი ჩამოაყალიბა. მუშაობის პირობები მძიმე იყო: არ ჰქონდათ ტრანსპორტი, საცდელი ნაკვეთები მთის ფერდობებზე შორიშორს იყო გაფანტული, სადაც ფეხით ან ცხენით დადიოდნენ. ალექსანდრამ შეუპოვარი მოთმინება და საქმისადმი დიდი ინტერესი გამოამჟღავნა, გადალახა ყველა სიძნელე, რომ მაღალმთიან პირობებში დაეთესა ხორბლის ელიტური — ახალი ჯიშები. მან დამოუკიდებლად გამოიყვანა ახალი სათესლე ხორბალი, რომელსაც „დიკა 7“ უწოდეს.

ელიტური ჯიშების, დიკების გამოყვანას დიდი დრო სჭირდება. წმინდა „ელიტას“ მხოლოდ მეოთხე თაობა იძლევა. ალექსანდრა ჯიაძის და მისი თანამშრომლების თავდადებულმა შრომამ საფუძველი ჩაუყარა მთის პირობებში. უხვმოსავლიანი ჯიშების გავრცელებას.

დიდი სამამულო ომი რომ დაიწყო, სამშობლომ საუკეთესო შვილები ფრონტზე გაგზავნა. მათ შორის იყო ალექსანდრას მეუღლე ვანო ტატიშვილი. ქალს ორი მცირეწლოვანი შვილი დარჩა აღსაზრდელი. მინდორში გავზარდე ჩემი შვილებიო, — ამბობს ალექსანდრა, სადაც მიდიოდა, ბავშვებიც თან დაჰყავდა, მაგრამ საქმისათვის არ უღალატნია.

ომის წლებში იგი კოლმეურნეობის თავმჯდომარედ მუშაობდა, ცდილობდა ხორბლის ნაკლებობა არ ეგრძნო ხალხს. როცა პარტორგანიზაციის მდივნად აირჩიეს, დიდ ყურადღებას აქცევდა მასების პოლიტიკურ აღზრდას.

ომი დამთავრდა. სოფელი აღმავლობის გზას დაადგა. აგრონომი ალექსანდრა ჯიაძე კვლავ თავის პოსტზე იდგა, კოლმეურნეობაში ახალ აგროტექნიკას ნერგავდა, თესლის ხარისხი მაღალ კონდიციამდე აჰყავდა. სოფელში თანდათან შემოვიდა მექანიზაცია, თანამედროვე ტექნიკამ კოლმეურნეობა გააძლიერა.

უხაროდა ალექსანდრას სოფლის წინსვლა. როდესაც ოქროსფრად მოღაღანე თავთავები სიმძიმისაგან თავებს ხრიდნენ, როდესაც პურის მკა ჩაღდებოდა და ბეღლებში არ ეტია ხვავი და ბარაქა, ალექსანდრა მამის დანაბარებს იხსენებდა და უხაროდა, რომ პირნათელი რჩებოდა ხალხთანაც, მამასთანაც.

დღეს ალექსანდრა საქართველოს სსრ დამსახურებული აგრონომია, პერსონალური პენსიონერია. რაც მთავარია, მან კარგი დედობა გაუწია შვილებს და ამაგი დაუფასდა. ვაჟმა მოსკოვის პოლიტექნიკური ინსტიტუტი დაამთავრა, ქალიშვილი კი დედის კვალს გაჰყვა — აგრონომად მუშაობს.

შვილები დედის მაგალითზე აღიზარდნენ. მათ ადრე ჩამოუყალიბდათ შრომის სიყვარული, მოვალეობის ღრმა შეგნება, პასუხისმგებლობა, საქმის გამარჯვების რწმენა. ალბათ ისინიც ქვეყნის ღირსეული მოქალაქეები იქნებიან.

**ნ. ჩიხრაძე**



აღორძინებული ისტორიული ძეგლი

# გარეჯის მონასტერი

კულტურის ძეგლები ხალხის კუთვნილება. სახელმწიფო, რომელიც ასრულებს კულტურული მემკვიდრეობისადმი დამოკიდებულების ლენინურ პრინციპებს, ყველა პირობას ქმნის ძეგლთა დაცვისა და მათი ეფექტიანი გამოყენებისათვის, ნათქვამია უმაღლესი საბჭოს 9-ე მოწვევის V სესიის მიერ მიღებულ კანონში ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვისა და გამოყენების შესახებ. ეს კანონი ლოგიკური გაგრძელებაა იმ დეკრეტებისა და გადაწყვეტილებებისა, რომლებიც ჯერ კიდევ ოქტომბრის რევოლუციის გარიჟრაჟზე იქმნებოდა საერთაშორისო პროლეტარიატის დიდი ბელადის ვლადიმერ ილიას ძე ლენინის ინიციატივით.

ჩვენს რესპუბლიკაში უდიდესი ყურადღება ექცევა მატერიალური კულტურის ძეგლების გამოვლინებას, მათს მეცნიერულ შესწავლასა და დაცვა-პოპულარიზაციას, რაც განსაკუთრებით ამ ბოლო წლებში შეიმჩნევა. ისე, როგორც რესპუბლიკის ცხოვრების სხვადასხვა უბნებს. მატერიალური კულტურის ძეგლებსაც დაეტყო მზრუნველი ხელი, ამის თვალსაჩინო, მაგალითია სახელგანთქმული გარეჯის მთის ვრცელი ხუროთმოძღვრული ანსამბლის რესტავრაცია.

დავით გარეჯის გრანდიოზული ხუროთმოძღვრული ანსამბლი თავისი მასშტაბურობით, არქიტექტურითა თუ ფერწერით, ნაწარმოებთა სიუხვით მსოფლიო მნიშვნელობის ძეგლად არის მიჩნეული. მისი მეცნიერული შესწავლა მხოლოდ ჩვენს დროში გახდა შესაძლებელი.

საგარეჯოს სამხრეთით, ოცდაათიოდე კილომეტრის დაშორებით აღმართულია ეს ვრცელი მატერიალური კულტურის ძეგლი, რომლისთვისაც მისი დამაარსებლის, დავითის პატივსაცემად დავით გარეჯის მონასტერი უწოდებიათ.

დავითი VI საუკუნის მოღვაწე გახლდათ. იგი თავის ცამეტ თანამოაზრესთან ერთად სირიიდან ჩამოსულა და იმ დროისათვის მნიშვნელოვან კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობას შესდგომია.

გადმოცემით დავითს ერთხანს თბილისის მიდამოებში უმოღვაწია. ამიტომაც არის, რომ მთაწმინდას მამადავითის მთასაც უწოდებენ; მაგრამ დავითს აქ ადგილობრივ მცხოვრებლებთან კონფლიქტი მოსვლია და თავისი მოწაფე ლუკიანესთან ერთად გარეჯისათვის მიუშურებია.

ამ ცხელი და უკაცრიელი მთების ერთ პატარა მღვიმეში დაუდევს ბინა დავითს ლუკიანესთან ერთად.

მძიმე, აუტანელ პირობებს არ შეუშინდნენ დავითი და მისი მოწაფე. მათ შერჩეული ადგილი არ მიატოვეს, ხელი არ აიღეს მონასტრის ორგანიზაციაზე, რომლის საფუძვლადაც სწორედ მათი სადგომი — მღვიმე იქცა. მათ სხვებიც შეუერთდნენ და იწყეს ზრუნვა მონასტრის გაზრდა-გაფართოებისა და კეთილმოწყობისათვის, მოაწყეს წყლის შემკავებელი სისტემა, წყალმიმღები ღარები და წყალსაცავები, გააფართოვეს „ქვაბნი საყოფელად მათდა" და სხვა. ძმობას შემდგომ მიემატა დოდოც — დავითის ერთ-ერთი გამოჩენილი მოწაფე და თანამოღვაწე.

ასე იწყო გაფართოება გარეჯის მრავალმთის სამონასტრო ანსამბლმა, რომლის პირველი მღვიმე ლავრის სახელწოდებით არის ცნობილი. მაგრამ მალე ეს გაფართოებაც არ აღმოჩნდა მოწესეთათვის საკმარისი და დავითის მოწოდებით დოდო შეუდგა ახალი მონასტრის მოწყობას. უფრო მოგვიანებით ანსამბლს შეემატა ნათლისმცემლის მონასტერი, ბერთუბნის სახელგანთქმული არქიტექტურული ანსამბლი, ჩიჩხიტური და სხვა.

ამრიგად, იმ დროისთვის, საკმაოდ ჩქარა, გარეჯის მრავალმთის უდაბნოს ტერიტორიაზე, დაახლოებით ოცდახუთკილომეტრიან ზოლზე განლაგდა მატერიალური კულტურის ძეგლები, რომლებმაც გარკვეული როლი შეასრულა ქართული მატერიალური და სულიერი კულტურის განვითარებაში.

გარეჯის გრანდიოზული სამონასტრო კომპლექსის განვითარება მჭიდროდ იყო დაკავშირებული ქვეყნის ეკონომიურ-პოლიტიკურ განვითარებასთან; VI-VII საუკუნეებში დავით გარეჯის სამონასტრო ნაგებობები გამოირჩეოდა უკიდურესი სიმარტივითა და ასკეტიზმით. მომდევნო ხანებში მათ ენაცვლება შედარებით მდიდრულად მოწყობილი და მოსურათხატებული ნაგებობები, რაც გარეჯის სავანეთა მატერიალურ მოღონიერებაზეც მეტყველებს.

ბევრი ცნობილი მწერალი და საზოგადო მოღვაწე ილვწოდა გარეჯის უდაბნოში. ცნობილი იყო გარეჯის კედლის მხატვრობა, მაგრამ ქვეყნის ისტორიულმა ავბედობამ ამ სავანეზეც მოახდინა გავლენა. იგი არაერთგზის აოხრდა, გადაიწვა, გაპარტახდა და ჩვენამდე უკაცრიელი, მიტოვებული ნანგრევ-ნასკდომების სახით მოაღწია. გარეჯის შესწავლა, დაცვა-პატრონობა ჩვენი დროის წილხვედრი გახდა.

დავით გარეჯის მრავალჭირნახულმა ძეგლმა მზრუნველი ხელი უკანასკნელ პერიოდში იგრძნო. სარესტავრაციო სამუშაოები რთული იყო, დიდი მასშტაბები ჰქონდა და მძიმე პირობებში მიმდინარეობდა, მაგრამ სახელმწიფოს ზრუნვის მეოხებით შესაძლებელი გახდა გარეჯის პირველი ნაგებობის — ლავრის მიდამოებში აღდგენა-გამაგრებითი სამუშაოების ჩატარება.

გარეჯში სახალხო უნივერსიტეტის დაარსება საზოგადოებრიობამ მოიწონა.

კვლავ ახმაურდა გარეჯის მრავალმთის უკაცრიელი უდაბნოები, კვლავ გაიღვიძა საუკუნეებით მიძინებულმა მიდამოებმა, რომელთაც ახალმა ცხოვრებამ ახალი სიცოცხლე შთაბერა. გარეჯის სახალხო უნივერსიტეტი ჩვენი დიადი დროის, ჩვენი ახალგაზრდობის ესთეტიკური და პატრიოტული აღზრდის სამსახურში ჩადგა. ეს ნათლად ადასტურებს კულტურის ძეგლების დაცვისათვის ჩვენი რესპუბლიკის ხელმძღვანელობის უდიდეს ზრუნვას.

ირ. ზაქარიაშვილი

## კაპიტალის სამყაროში

# უკანასკნელი ტასმანელი ქალი

დედამიწის უკიდურეს სამხრეთ ნაწილში ავსტრალიასთან ახლოს, არის დაბურული ტყეებითა და მოჩუხჩუხე წყაროებით დაფარული მთაგორიანი, ლამაზი კუნძული ტასმანია, სადაც გასულ საუკუნეში გულშემზარავი სისხლისღვრა მოხდა. ე წ. „შავი ომის" შედეგად, რომლის მოთავენი ინგლისელი კოლონიზატორები იყვნენ, მთლიანად მოისპო უწყინარი ადგილობრივი მოსახლეობა.

დღეს, ტასმანიის აღმოჩენიდან 334 წლის შემდეგ, ამ კუნძულის არცერთი მკვიდრი ცოცხალი აღარ არის. ინგლისელმა კოლონიზატორებმა ცეცხლითა და მახვილით გაანადგურეს ბუნებით მშვიდი ტასმანელები და კიდევ ერთი სამარცხვინო ფურცელი ჩაწერეს თავიანთი კოლონიური ექსპანსიის ისტორიაში.

ვინ იყვნენ ტასმანელები?

დიდმა გეოგრაფიულმა აღმოჩენებმა მე-16, მე-17 საუკუნეებში ღრმა ცვლილებები მოახდინა ევროპის ქვეყნების პოლიტიკურ და სამეურნეო ცხოვრებაში. ამ პერიოდში კოლონიურ ვაჭრობას ფართო გასაქანი მიეცა. მე-17 საუკუნის დასაწყისიდან სწრაფად ძლიერდება ჰოლანდია თავისი კომპანიებით, რომელსაც 15 ათასი ხომალდი ჰყავს, და განსაკუთრებით 1602 წელს დაარსებული ოსტ-ინდოეთის კომპანია, რომელმაც კოლონიების ძარცვა-გლეჯით ზღაპრული სიმდიდრე მოიხვეჭა

ოსტ-ინდოეთის კომპანია მას შემდეგ გაძლიერდა, რაც მის სათავეში დაუნდობელი და სასტიკი პიროვნება - ჰოლანდიაში ყალთაბანდად ცნობილი, ბატავიაში სხვა გვარით მალულად ჩასული ანტონ ვან-დიმენი (1593-1643) მოექცა. იგი მომხრე იყო სავაჭრო და სამხარი ექსპანსიისა და ყველგან ორგანიზებულ ექსპედიციებს გზავნიდა, რომელთა სათავეში გამოცდილი კაპიტნები და სანდო პირები იდგნენ.

ანტონ ვან-დიმენმა თვალი დაადგა სამხრეთის უცნობ მიწას („ტერა აუსტრალის ინკოგნიტა"), რომელიც ჯერ კიდევ პტოლემაიოსისა და ორტელიუსის რუკებზე იყო აღნიშნული, როგორც მსოფლიოში ყველაზე დიდი კუნძული.

1642 წლის 12 აგვისტოს „სამხრეთის უცნობი მიწის" გამოსაკვლევად ქალაქ ბატავიიდან გავიდა ექსპედიცია, ორი ხომალდის „ზეჰაინისა" და „ჰეემსკერკის" შემადგენლობით, რომელსაც ცნობილი ზღვაოსანი, კაპიტანი აბელ იანსზონ ტასმანი (1603-1659) ხელმძღვანელობდა.

სამი თვის ცურვის შემდეგ, 24 ნოემბერს, სამხრეთის განედის 42°-25" ჰორიზონტზე გამოჩნდა უცნობი მიწის ნაპირი. ტასმანი თავის დღიურში წერს: „ეს იყო ევროპელთათვის მანამდე უცნობი მიწა, რომელსაც სამხრეთის ზღვაში ცურვისას პირველად შევხვდით".

2 დეკემბერს ექსპედიციამ ღუზა ფრედერიკო-ჰენრიჰის ყურეში ჩაუშვა. ადგილი საოცრად ლამაზი და თანაც დასახლებული იყო: ნაყოფით დახუნძლული ხეები და ფართო ველებზე მოჩუხჩუხე, ანკარა წყაროები... კუნძულზე აღიმართა ჰოლანდიის როგორც ახლადაღმოჩენილი მიწის ბატონპატრონის სახელმწიფო დროშა.

1777 წლის 26 იანვარს, თავისი მესამე მოგზაურობის დროს, კუნძულს ეწვია სახელგანთქმული ზღვაოსანი ჯეიმს კუკი, რომელმაც პირველი ცნობები მოგვცა ტასმანელებზე

1803 წელს ტასმანიაზე უკვე ვხედავთ პირველ ინგლისელ კოლონისტებს. ტასმანელები ევროპელებს მეგობრულად შეხვდნენ, მაგრამ მოსულები მათ ისე უყურებდნენ, როგორც ცხოველებს.

ევროპელი, რომელიც ტასმანელ ბავშვს ყურს ან ცხვირს მოაჭრიდა, სულ რამდენიმე როზგით ისჯებოდა. იმხანად კოლონისტებს შორის საშინელი ჩვევა გავრცელდა: მათ დაიწყეს „შავებზე" ე. ი. ტასმანელებზე ნადირობა, რომელიც სადღესასწაულო ვითარებაში ტარდებოდა. კოლონისტები დათქვამდნენ ნადირობის დღეს, გამართავდნენ სადილს, შემდეგ კი თოფებით შეიარაღებულები, გაწვრთნილი ძაღლებით ტყეში მიდიოდნენ, რათა „შავები" მოეძებნათ. „მონადირეები" დიდი ზარ-ზეიმით ბრუნდებოდნენ შინ, თუ მათი „ნანადირევი" ადგილობრივი ქალები და კაცები იყვნენ.

1830 წელს კუნძულზე „სამხედრო წესები" გამოცხადდა, რაც ტასმანელთა განადგურებას მოასწავებდა. ე. წ. „შავი ომის" შედეგად (1830-1834 წლები) და[illegible] 10.000 ადგილობრივი მკვიდრიდან მხოლოდ 210 დარჩა, 1843 წელს კი მათი რიცხვი 54-მდე შემცირდა.

ამაოდ ცდილობდნენ ევროპელი მისიონერები ქრისტეს რჯულზე მოექციათ რამდენიმე ათეული ტასმანელი. მათ ძვირფას ტანსაცმელს აცმევდნენ, ბიბლიას აზეპირებინებდნენ, მაგრამ ამაო იყო „გარჯა", რადგანაც ანაფორაგადაცმული ჯალათები თვითონვე იყვნენ „ურჯულოთა", ე. ი. ადგილობრივთა გამანადგურებლების წამქეზებლები.

1847 წელს, დიდი თხოვნის შემდეგ, 44 ტასმანელი მშობლიურ ადგილებზე დააბრუნეს. უსაზღვრო იყო მათი სიხარული, მაგრამ თითქმის ყველა დაავადებული იყო ჭლექითა და ვენერიული სნეულებით. მკურნალობაზე კი არავინ ზრუნავდა.

1869 წელს გარდაიცვალა 34 წლის ტასმანელი უილიამ ლენი, რომელიც ინგლისელებმა გაალოთეს. მას სიცოცხლეში დაცინვით „მეფე უილსს" ეძახდნენ. სულ მალე კუნძულზე დარჩა ერთადერთი მკვიდრი ქალი სახელად თრუგანინი, რომელსაც ევროპელები თავს ევლებოდნენ. და ეს გასაგებიც არის: მათ ხელთ იყო ტასმანელების უკანასკნელი წარმომადგენელი. თრუგანინი ცალკე ცხოვრობდა. მას ნაირ-ნაირი საჭმელებით უმასპინძლდებოდნენ. მაგრამ ქალი ყოველთვის დამწუხრებული იყო. თითქმის მის თვალწინ მოისპო ხალხი, რომლის შვილიც თვითონ იყო. ბოლო წლებში მას ძალიან ეშინოდა საკუთარი სხეულის დასახიჩრებისა და სიკვდილის შემდეგ გვამის მოპარვისა. მისი უკანასკნელი თხოვნა იყო — „ნუ მისცემთ ნებას, რომ დამასახიჩრონ. დამასაფლავეთ მთების ძირში".

1876 წლის 8 მაისს თრუგანინმა საუკუნოდ დახუჭა თვალი. იგი ქალაქ ჰობარტში დაასაფლავეს.

ასე ტრაგიკულად დასრულდა ტასმანელთა ისტორია. ინგლისელთა სისასტიკე ნათლად ამხილა დიდმა ბუნებისმეტყველმა ჩარლზ დარვინმა: „სხვათა შორის, ვშიშობ, რომ მთელი ეს ბოროტება, ყველა მისი შედეგი, აუცილებლად ზოგიერთი ჩემი თანამემამულის სამარცხვინო საქციელის ბრალი იყო".

**გურამ გასიტაშვილი,**
**ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი.**

გარეკანის პირველ გვერდზე- საქართველოს სსრ მთავრობის სახლი; მეოთხე გვერდზე—ნიკოლოზ ბარათაშვილის ძეგლი თბილისში, მოქანდაკე ბ. ციბაძე. გრ. სეირანიანის ფერადი სლაიდები

| რედაქტორი მარიკა ბარათაშვილი | სარედ, კოლეგია: ნ. გურგენიძე, ზ. კვაჭაძე, თ. ლაშქარაშვილი, ნ. შალუტაშვილი, ლ. შენგელია (მხატ. რედაქტორი). თ. წერეთელი, ნ. ჯავახიშვილი, ე. ჯაფარიძე (პ. მგ. მდივანი) ტექრედაქტორი ნ. ბუკია | საქ. კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა |
|---|---|---|

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა. თბილისი, ლენინის ქ. № 14.
Типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина, 14.

რედაქციის მისამართი — ლენინის ქ. № 14. ტელეფონის №, № რედაქტორის — 99-98-71, პასუხისმგებელი მდივნის — 99-71-68. მხატვრული რედაქტორის 93-98-57, საქმეთამმართველის 93-98-54. გადაეცა ასაწყობად 5/1-77 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 15/11-77 წ. ქაღალდის ზომა 60×90 1/3, ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 3. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 5,3
ტირაჟი 121 500. შეკვ. 36 ეე 00626 ფასი 30 კაპ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ქარგვის გაკვეთილი

## (აპლიკაციით კერვა)

მხატვრული კერვის საქმეში ძველ საქართველოში ძაფთან ერთად ფართოდ გამოიყენებოდა ფერადი- ქსოვილების ნაჭრები, რომელსაც „აპლიკაციით" კერვა" ეწოდება (applicacio) ლათინური სიტყვაა. აპლიკაციით კერვისას ორნამენტის გამოსახვას ფერადი ქსოვილის ნაჭრების საშუალებით (დაწებებით, ან ზედ დაკერებით) ახდენდნენ.

არსებობდა აპლიკაციით კერვის რამდენიმე წესი. გავეცნოთ ზოგიერთ მათგანს. ფერადი ქსოვილებისაგან გამოჭერით რაიმე სახე, სიმარტივისათვის, აიღეთ, თუნდაც, გეომეტრიული ფიგურები: სამკუთხედი, ოთხკუთხედი, რომბი და სხვა. შემდეგ იგი სახის მიხედვით დასაქარგ ქსოვილს ან დააწებეთ, ანდა დააკერეთ „ლამბის ნაკერით"; როდესაც ყველა ფიგურას განალაგებთ სახის მიხედვით სასურველ ადგილას, შემდეგ კონტურები — ფიგურის შემოჭრილი ნაპირები შეგიძლიათ სხვადასხვანაირი ნაკერით დაფაროთ, ვთქვათ ძაფის გრეხილებით ან წვრილი ზონრებით. ამგვარი ნაკერის შესახებ ჩვენ წინა გაკვეთილში უკვე გვქონდა საუბარი. შეგახსენებთ, ძაფის გრეხილებს და ზონრებს სამუშაო ძაფითა და ნემსით ქვემოდან ჩაამაგრებთ. სილამაზისა და გამძლეობის მიზნით ძაფის გრეხილები შეგიძლიათ ~~ორ~~ რიგადაც შემოავლოთ. ანდა მის მაგიერ, შემოჭრილი ნაპირი ფერადი ძაფით „ღილკილოსნაირი ნაკერით" დაფაროთ (სურ. 1) ამ შემთხვევაში საკერავი ძაფი ნემსზე ააგეთ, ბოლო ჩაკვანძეთ და ნემსი ქვემოდან ზემოთ ამოუყარეთ (ისე, რომ კვანძი ქვემოთ დარჩეს. შემდეგ ნემსი ორივე ქსოვილში ერთდროულად ჩაუყარეთ ზემოდან ქვემოთ, როგორც ეს სურათზეა ნაჩვენები) და ამოუყარეთ მხოლოდ დასაქარგ ქსოვილში, ფიგურული ქსოვილის ნაპირთან. საკერავი ძაფი ნემსის წვერს ქვემოდან მოაქციეთ, ძაფის გაწევისას ყულფი გაკეთდება. ზედაპირზე მხოლოდ პარალელური მცირე ზომის ხაზები წარმოიქმნება, რომლის ერთი ნაპირი წვრილი ხვეული ხაზებით გადაებმება ერთიმეორეს. ამგვარი ნაკერი ახლო-ახლო მიჯრით კეთდება, იგი ნაპირს მთლიანად ფარავს, და მტკიცედ ამაგრებს დასაქარგავ ქსოვილზე.

შეგიძლიათ აგრეთვე ქსოვილისაგან გამოჭრილ ფიგურებს ჯერ წინასწარ გარშემო ნაპირები დაუკეროთ ზემოაღნიშნული წესით, ან ყაისნაღით „დაბალფეხით" შემოაქსოვოთ და შემდეგ დასაქარგ ქსოვილზე დაამაგროთ, დააკეროთ. ამ შემთხვევაში, ნაპირებს საკერავი ძაფითა და ნემსით ქვემოდან ჩაამაგრებთ, ისე როგორც გრეხილებს.

აპლიკაციით კერვისას შემდეგ ხერხსაც იყენებდნენ. დასაქარგ ქსოვილზე ჯერ სახის დეტალებს ამოჭრით და შემდეგ იმავე ფორმის სხვა ფერის ქსოვილისაგან გამოჭრილ სახეს ჩაუდგამთ, ჩააკერებთ (ლამბის ან გვირისტის ნაკერით), ნაკერი უკუღმა პირიდან მოაქციეთ და ზედაპირზე ნაკერი ისევ გრეხილებით ანდა სხვაგვარი ნაკერით („ჯვარი", „სითვი", „ყაისნაღურა") დაფარეთ. აპლიკაციით კერვის ამ წესს „ამოფანჯვრა" ეწოდებოდა.

აპლიკაციით კერვის კიდევ ერთ ხერხს შეგახსენებთ. ძველად, ჯერ ცალკეულ ფიგურულ სახეებს ოქრომკედით ან ვერცხლის ძაფით კერავდნენ „სითვის ნაკერით" და შემდეგ მას დასაქარგ ქსოვილს აკერებდნენ. ოქრომკედით კერვის წესს შემდეგ ცალკე გავეცნობით.

ხევსურეთში აპლიკაციით კერვის სხვა წესებიც არსებობდა, რომელსაც ჩვენ სხვა შემთხვევაში გავეცნობით.

მხატვრული კერვისას, აპლიკაციით კერვა (ე. ი. ფერადი ქსოვილებით სახეების გამოსახვა) ერთ-ერთი ხერხი იყო და მასთან ერთად სხვადასხვა სახის ნაკერსაც იყენებდწენ, როგორიცაა: „ყაისნაღურა ნაკერი", „წყალი", „სითვი", „კვანძ-კვინწილები" და სხვა. მაგალითად ყვავილის ფურცლები, ბუტკო, ფოთლები, ღეროები და სხვა დამხმარე ხაზები და წვრილი სახეები, რომელიც აპლიკაციით ნაკერ სახეებზეც და მათ შორისაც შეიძლება გამოსახოთ, სახის მიხედვით.

ძველად აპლიკაციით ამკობდნენ ტანსაცმლის დეტალებს (განსაკუთრებით ხევსურები) და საოჯახო დეკორაციულ ნივთებსაც (როგორიცაა: სუფრები, გადასაფარებლები, ბალიშის პირები და სხვა).

მხატვრული კერვის ზემოაღნიშნული წესებით („ყაისნაღურა ნაკერი", „აპლიკაციითა" და „ძაფის გრეხილებით") ნაქარგი კოსტიუმის ელემენტები და დეკორაციული დანიშნულების ნივთები ჩვენი ეროვნული მუზეუმის საცავებშია დაუნჯებული (სურ. 2) მათ მსგავსად თქვენც შეგიძლიათ შეამკოთ მოდური — თანამედროვე სამოსელი და ნივთები (ქვედა-ტანი, ხელჩანთები, ფეხსაცმლის საპირე, თავსაფრები, ქუდები და სხვადასხვა დანიშნულების დეკორაციული ნივთები).

ც. ყარაულაშვილი,
ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი.



სურ. 1



სურ. 2

б 118/31

ИНДЕКС 76178

